# საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

ოთხშაბათი, 14 ნოემბერი, 2012 წელი.

№219 (7095)




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უპატიოსნობაზე უსაძაგლესია.


ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge ვებ გვერდი: www.open.ge ფასი 50 თეთრი.


## ბიძინა ივანიშვილი მარტინ შულცს შეხვდა



2

## რასმუსენს რას უსმენთ!..

## „მერაბიშვილის სიმამრმა პოლიტპატიმრის ოჯახს 60 000 დოლარი გამოსძალა" 4

## შემწეობა შესაძლოა, გაორმაგდეს, პენსია კი ყველასთვის გათანაბრდება 4

## განხეთქილება პოლიტპატიმრების თემაზე მომუშავე უფლებადამცველებს შორის



5

## სააკაშვილმა შემოქმედებით ინტელიგენციას პანდურის გარდა ყველაფერი აკადრა



3

## სააკაშვილები და კეზერაშვილი საქართველოში ნავთობის მოპოვებას მიზანმიმართულად ბლოკავდნენ 5

## 7 საით გაქანდება საგადასახადო საქანელა?



## მართლაც კადრები წყვეტენ ყველაფერს 10

## მცირე და დიდი ჰესების მავნე ზეგავლენის შესახებ 8

## „ნიუ ენერჯით" გამოძიება დაინტერესდა 6




PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

# ბიძინა ივანიშვილი მარტინ შულცს შეხვდა



**საქართველოს პრემიერ-მინისტრი ევროპის პარლამენტის პრეზიდენტს შეხვდა. როგორც „ინტერპრესნიუსს“ პრემიერის პრესსამსახურიდან აცნობეს, მარტინ შულცმა ბიძინა ივანიშვილს არჩევნებში გამარჯვება მიულოცა და სტუმრობისთვის მადლობა გადაუხადა.**

შეხვედრაზე საუბარი ქართულ-რუსულ ურთიერთობებსაც შეეხო. შულცის განცხადებით, მისასალმებელია საქართველოს ახალი მთავრობის სურვილი რუსეთთან კონსტრუქციული ურთიერთობების შესახებ.

პრემიერ-მინისტრმა ევროპის პარლამენტის პრეზიდენტს მიაწოდა ინფორმაცია რუსეთთან ურთიერთობების საკითხებში სპეციალური წარმომადგენლის დანიშვნის შესახებ, რასაც მარტინ შულცის მხრიდან დადებითი შეფასება მოჰყვა.

ქართულმა მხარემ ასევე აღნიშნა, რომ რუსეთისგან შემხვედრ ნაბიჯებს ელოდება.

შეხვედრაზე საუბარი სავიზო რეჟიმის გამარტივების პროცედურებსაც შეეხო და აღინიშნა, რომ ვილნიუსის სამიტამდე ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერა უნდა მოხერხდეს.

# რასმუსენს რას უსმენთ!..

**მოვუწოდებ ყველა პარტიას საქართველოში, ერთად იღვაწონ დემოკრატიის უმაღლესი სტანდარტების მიღწევისთვის, — ასეთი ჩანაწერი გააკეთა ნატოს გენერალურმა მდივანმა ანდერს ფოგ რასმუსენმა სოციალურ ქსელ „ტვიტერ“-ის საკუთარ გვერდზე.**

გარდა ამისა, რასმუსენის გვერდზე აღნიშულია ისიც, რომ ნატოს გენერალურმა მდივანმა მიხეილ სააკაშვილს არჩევნების წარმატებით ჩატარება კიდევ ერთხელ მიულოცა და ხაზი გაუსვა ალიანსის ერთგულებას ნატოსა და საქართველოს ურთიერთობებისადმი.

რასმუსენის ჩანაწერი პრაღაში, ნატოს საპარლამენტო ასამბლეის ყოველწლიურ შეხვედრაზე სიტყვით გამოსვლის შემდეგ არის გაკეთებული.

ამასთან, როგორც ცნობილია, გუშინ გავრცელდა ნატოს გენერალური მდივნის განცხადება საქართველოს მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით.

რასმუსენმა არჩევნების შედეგად მოსული ახალი მთავრობის მიერ ოპონენტების დაკავების გამო შეშფოთება გამოთქვა.

რასმუსენმა საქართველოს მთავრობას მოუწოდა, რომ სასამართლო პროცესები პოლიტიკური ჩარევისგან თავისუფალი იყოს.

— მე უკიდურესად შეწუხებული ვარ არჩევნების შემდეგ განვითარებული მოვლენებით, რომელიც საქართველოში პოლიტიკური ოპონენტების დაკავებას უკავშირდება. ამ საკითხების გადაწყვეტა სასამართლო სისტემის პრეროგატივაა, მაგრამ ცხადია, მნიშვნელოვანია, რომ ასეთი საქმეები პოლიტიკური ჩარევის გარეშე განიხილებოდეს. ჩვენ განსაკუთრებული ყურადღებით დავაკვირდებით მოვლენების განვითარებას ამ მიმართულებით, — განაცხადა რასმუსენმა პრაღაში, ნატოს საპარლამენტო ასამბლეის სხდომაზე.

საპარლამენტო ასამბლეა ასევე მოუწოდებს საქართველოს ახალ მთავრობას და პარლამენტს, განაგრძონ რეფორმების პროგრამა და უზრუნველყონ ეფექტური თანაცხოვრება (პრეზიდენტთან) 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნებამდე.

— ნატოს საპარლამენტო ასამბლეა შეშფოთებას გამოხატავს საქართველოში ადგილობრივი თვითმმართველობის ინსტიტუციებზე, კერძოდ „საზოგადოებრივ მაუწყებელზე“ ზეწოლასთან დაკავშირებით გავრცელებული ხმების გამო და მოუწოდებს საქართველოს ახალ მთავრობას, თავი შეიკავოს პოლიტიკურად მოტივირებული დაპატიმრებებისგან. ასამბლეა მოუწოდებს ნატოს წევრი ქვეყნების მთავრობებს, შესაძლებლობა მისცენ საქართველოს, ბუქარესტისა და ჩიკაგოს სამიტებზე მიღებული გადაწყვეტილებებისა და ქვეყნის დემოკრატიული პროგრესის გათვალისწინებით, გადადგას შემდეგი ნაბიჯი ნატოსკენ ინტეგრაციის გზაზე და განიხილონ საქართველოსთვის გაწევრების სამოქმედო გეგმის მინიჭების საკითხი, რაც უზრუნველყოფს უფრო კონკრეტულ წვდომას ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ და ინსტიტუციურ რეფორმებში, — აღნიშნულია რეზოლუციაში.

# იქნებ ვითარება ქართულ ჯარში ნატომ შეამოწმოს?

**საქართველოს მთავრობა ქართულ ჯარში აქამდე არსებული და ამჟამინდელი ვითარების შესასწავლად ნატოს სამუშაო ჯგუფის შექმნის ინიციატივით მიმართავს.**

**შესაბამისი წინადადება საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა ტელეკომპანია „მე-9 არხთან“ საუბარში გაახმოვანა და აღნიშნა, რომ ინიციატივას ანდერს ფოგ რასმუსენს პირადად შესთავაზებს.**

— ჩვენ პარტიული ნიშნით და შერჩეული სამართლით არ ვაპირებთ მოქმედებას. ამაში მე დავარწმუნებ ბატონ რასმუსენს შეხვედრის დროს. ნატოსაც შეუძლია სამუშაო ჯგუფი შექმნას და ჩვენთან ერთად მიიღოს მონაწილეობა იმის გარკვევაში, თუ რა ხდებოდა ქართულ ჯარში და რა ხდება ახლა. სიამოვნებით შევთავაზებ ამას ბატონ რასმუსენს, — განაცხადა ივანიშვილმა.

მისივე თქმით, სამხედრო მაღალჩინოსნების დაკავება ნებისმიერი ქვეყნისთვის სირცხვილია, რის კონტექსტშიც ევროპელების რეაქცია „ნორმალური და ჯანსაღია“.

— ყოფილი ხელისუფლება ცდილობს, ეს ანგარიშსწორებად წარმოაჩინოს, მაგრამ სინამდვილე სულ სხვაა. რა თქმა უნდა, აღმაშფოთებელია ის, რომ პროკურატურა იძულებულია, გენერალური შტაბის უფროსი დააკავოს. სირცხვილია, რომ ყოფილი შინაგან საქმეთა და თავდაცვის მინისტრის დაკავება მოხდა. ჩვენც უკმაყოფილოები ვართ და განიცდიან ევროპელებიც. ასე რომ, მათი რეაქცია ნორმალური და ჯანსაღია, — აღნიშნა პრემიერ-მინისტრმა.

ივანიშვილის შეფასებით, საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი ევროპელების დაბნევას ცდილობს, თუმცა, მთავრობა სიმართლეს ყველასთან მიიტანს. „ჩვენ სიმართლე ქართველ ხალხს გავაგებინეთ და ასევე გავაგებინებთ მას ამერიკელებსა და ევროპელებს, — დასძინა ივანიშვილმა.

ნატოს გენერალურმა მდივანმა ანდერს ფოგ რასმუსენმა არჩევნების შედეგად მოსული ახალი მთავრობის მიერ ოპონენტების დაკავების გამო შეშფოთება გამოთქვა. „როიტერის„ ცნობით, რასმუსენმა საქართველოს მთავრობას მოუწოდა, რომ სასამართლო პროცესები პოლიტიკური ჩარევისგან თავისუფალი იყოს.

# ახალი მთავრობა პრეზიდენტის საგადასახადო ინიციატივას აუქმებს

**ახალი მთავრობა პრეზიდენტ სააკაშვილის იმ ცნობილ საგადასახადო ინიციატივას აუქმებს, რომელიც 45 წლიდან 60 წლამდე ასაკის ადამიანების დასაქმების შემთხვევაში, დამსაქმებელს საგადასახადო შეღავათს უწესებდა.**



საუბარია „საგადასახადო კოდექსის“ 309-ე მუხლის 43-ე ნაწილზე, რომლის გათვალისწინებითაც, საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრისგან თავისუფლდება 45-დან 60 წლამდე ასაკის პირის მიერ კერძო სამართლის იურიდიული ან ფიზიკური პირისგან ხელფასის სახით მიღებული შემოსავალი, ახალ სამუშაო ადგილზე დაქირავებით მუშაობის დაწყებიდან ერთი წლის განმავლობაში. ამასთან, კანონმდებლობით, აღნიშნული საგადასახადო შეღავათის პირობას წარმოადგენს ის გარემოება, რომ პირს მუშაობა 2012 წლის 1 იანვრიდან 2012 წლის 1 ივლისამდე უნდა ჰქონდეს დაწყებული, ხოლო მუშაობის დაწყებამდე სამი თვის განმავლობაში უმუშევარი უნდა იყოს.

აღნიშნული ინიციატივით, მიხეილ სააკაშვილი გასულ წელს გამოვიდა და მისი ეს წინადადება ოპოზიციის მხრიდან იმთავითვე წინასაარჩევნო პიარ-ნაბიჯად შეფასდა.

მთავრობის ინიციატივით, საგადასახადო კანონმდებლობაში 309-ე მუხლის 43-ე პუნქტი ამოღებულ იქნება.

**ინტერპრესნიუსი**

# საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის განცხადება

**საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიური საბჭოს 2012 წლის 19 ოქტომბრის გადაწყვეტილების შესაბამისად 2012 წელს წარმოდგენილი ნაშრომებისათვის გამოჩენილ მეცნიერთა აკადემიური სახელობითი პრემიები მიენიჭათ:**

**1. პეტრე მელიქიშვილის სახელობის პრემია** ავტორთა კოლექტივს: აკადემიის წევრ-კორესპონდენტს **შოთა სამსონიას,** ქიმიის მეცნიერებათა დოქტორებს: **იოსებ ჩიკვაიძეს, მარინა ტრაპაიძეს,** ქიმიის მეცნიერებათა კანდიდატებს: **ნანა ჩიკვაიძეს (თარგამაძეს), დალი ყაჯრიშვილს, დავით ზურაბიშვილს** ნაშრომთა ციკლისათვის — „აზოტშემცველი პოტენციური ბიოლოგიური აქტიურობის მქონე ახალი არომატული ჰეტეროციკლური სისტემები: სინთეზი, თვისებები, სკრინინგი“.

**2. გიორგი ახვლედიანის სახელობის პრემია** ავტორთა კოლექტივს: აკადემიკოს **თამაზ გამყრელიძეს, ზაზა კიკნაძეს** (გარდაცვალების შემდეგ); ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორებს: **ინგა შადურს, ნანა შენგელაიას** ნაშრომისათვის — „თეორიული ენათმეცნიერების კურსი“.

**3. ფილიპე გოგიჩაიშვილის სახელობის პრემია** აკადემიის წევრ-კორესპონდენტს **ლეო ჩიქავას** ნაშრომისათვის — „დემოლოგია და მისი კანონთა სისტემა“.

**4. შოთა მესხიას სახელობის პრემია** აკადემიკოს **როინ მეტრეველს** ნაშრომთა ციკლისათვის — „პატრიარქი — ერის სულიერი მამა“; „მეფეები და პატრიარქები“.

**5. ალბერტ თავხელიძის სახელობის პრემია** აკადემიკოს **ნოდარ ცინცაძეს** ნაშრომთა სერიისათვის — „მტვრიანი“ პლაზმის ფიზიკის ზოგიერთი ასპექტები.

**6. მიხეილ ნოდიას სახელობის პრემია** ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორებს: **ავთანდილ კორძაძეს, დემურ დემეტრაშვილს** ნაშრომთა ციკლისათვის — „შავ ზღვაში მიმდინარე ჰიდროთერმოდინამიკური პროცესების მათემატიკური მოდელირება და მის საფუძველზე შავი ზღვის აღმოსავლეთ ნაწილში მდგომარეობის ოპერატიული პროგნოზული სისტემის შემუშავება“.

**7. ანდრია რაზმაძის სახელობის პრემია** ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორს **ალექსანდრე მესხს** მონოგრაფიისათვის — „არაკომპაქტურობის ზომა ინტეგრალური ოპერატორებისათვის ლებეგის წონიან სივრცეებში“.

**8. ალექსანდრე ჯანელიძის სახელობის პრემია** აკადემიის წევრ-კორესპონდენტს **მიხეილ კაკაბაძეს** ნაშრომთა ციკლისათვის — ,,ადრეცარცული ამონიტების სისტემატიკა და სტრატიგრაფიული მნიშვნელობა“.

**საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული**
**აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი**
**თ. გამყრელიძე**

**საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის**
**აკადემიკოს-მდივანი, აკადემიკოსი**
**ო.ნათიშვილი**

## სულიერება



# პატრიარქმა მეტეხის ხიდზე პარაკლისი გადაიხადა

**წმინდა 100 ათასი ქართველის ხსენების დღეს, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II მეტეხის ხიდზე პარაკლისი გადაიხადა.**

**უწმინდესის კურთხევით ქალაქის სხვადასხვა ადგილიდან მეტეხის ხიდისკენ მსვლელობები გაიმართა.**

* * *

**„ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა„ მეტეხის ხიდისა და ევროპის მოედნისათვის 100 ათასი ქართველი მოწამის სახელის დარქმევის ინიციატივით გამოვიდა.**

ამის შესახებ საკრებულოს ფრაქცია „ქრისტიან-დემოკრატების“ თავმჯდომარემ ზაზა გაბუნიამ დიდუბის პანთეონთან განაცხადა. მისი თქმით, „ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა“ უერთდება 100 ათასი ქართველი მოწამის ხსენების დღესთან დაკავშირებით დაგეგმილ საზეიმო მსვლელობას მეტეხის ხიდის მიმართულებით და გამოდის ინიციატივით, რომ მეტეხის ხიდსა და ევროპის მოედანს, სადაც 100 ათასი ქართველი მოწამე აღესრულა, მათი სახელი ეწოდოს. გაბუნიას განმარტებით, აღნიშნული საკითხი საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიაში უკვე შეტანილია განსახილველად.

**ინტერპრესნიუსი**



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

**პროტესტი**

# სააკაშვილმა შემოქმედებით ინტელიგენციას პანღურის გარდა ყველაფერი აკადრა



**ინტელიგენციის** პროტესტი პრეზიდენტის გადადგომის მოთხოვნით, დროული კი არა დაგვიანებულია.

ავლაბარში, სააკაშვილის სამუშაო კაბინეტს დიდი ქართველი მოღვაწის, ერის მამად წოდებული ილია ჭავჭავაძის პორტრეტი ამშვენებს. არაერთხელ დავფიქრებულვარ, ადამიანი, რომელიც გაუგონარ ზეწოლას ახორციელებდა ნიჭიერებაზე, აბუჩად იგდებდა შემოქმედებით ინტელიგენციას. დაშალა და გააბითურა ქართული მეცნიერება და ხელოვნება. გამიზნულად და გააზრებულად ზურგი აქცია ყოველგვარ ჭეშმარიტს, ნუთუ ერთხელ მაინც არ გაჩერებულა ილიას პორტრეტთან და არ დაფიქრებულა იმ შეგონებებზე რითაც დიდმა ილიამ დაგვმოძღვრა?..

საქართველოში კი არა მის ფარგლებს გარეთაც უწყით ილიას შეგონება „ჩვენ არა ერთხელ გვითქვამს, რომ ერის პირქვე დამხობა-გათახსირება, გაწყალება იქიდან დაიწყება, როცა იგი თავის ისტორიას ივიწყებს, როცა მას ხსოვნა ეკარგება თავისი წარსულისა, თავისი ყოფის ცხოვრების აღმოფხვრა ხსოვნისაგან მომასწავებელია ერის სულით და ხორცით მოშლისა, დარღვევისა და მთლიანად წარწყმენდისაცა.“

ეს საშვილიშვილოდ საგოგმანები ნააზრევი სააკაშვილს, რომ სცოდნოდა საქართველოს შემოქმედებით ინტელიგენციას არ ჰკადრებდა „ჩარეცხილებიო“. ამით მან სულში ჩააფურთხა იმ ადამიანებს, რომლებმაც მხრებით ზიდეს მე-20 საუკუნის მეორე ნახევრის ქართული კულტურა. ზიდეს ამაყად, თავაწეულებმა, საკუთარი სამშობლოს სიყვარულით აღტკინებულებმა. თანაც საბჭოთა რეჟიმის მკაცრი ცენზურის პირობებში.

ეს ადვილი საქმე არ იყო.

უვიცობაზე მეტია „ჩარეცხილი“ უწოდო საუკუნის ნაწარმოების ავტორს ჭაბუა ამირეჯიბს, სახელგანთქმულ მსახიობს ოთარ მეღვინეთუხუცესს, რეჟისორებს რეზო ჩხეიძესა და გიგა ლორთქიფანიძეს, მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონს ჭადრაკში ნონა გაფრინდაშვილს.მსოფლიოსა და ოლიმპიურ ჩემპიონს რომან რურუას, კომპოზიტორ ვაჟა აზარაშვილს, და უამრავ, უამრავ ღვაწლმოსილ მეცნიერს, რომლებმაც საკუთარი ნიჭიერებით, ლომის წილი მიუძღვით ჩვენი კულტურის, მწერლობის, მხატვრობის, მეცნიერებისა და სპორტის მსოფლიოს გაცნობაში.

ნორმალურ პრეზიდენტს, რომელსაც საკუთარი ქვეყანა უყვარს, მისი ხალხიც უნდა უყვარდეს, პატივს უნდა მიაგებდეს მის გამორჩეულ ნაწილს. მათთვის „ჩარეცხილები“ კი არ უნდა ეკადრებინა, არამედ როგორც ბრძანებს ილია, ხიდად უნდა გამოეყენებინა მომავალი ღირსეული თაობების აღსაზრდელად.მაგრამ მან ილიასეული სიტყვა „გათახსირებული“ მიიკრა შუბლზე და ასე დაასრულებს ალბათ სიცოცხლეს მხოლოდ ის კი არა, მთელი მის დამნაშავეობის წუმპეში დამბალი „ნაცმოძრაობა“.

სააკაშვილსა და მის ხროვას მოსწონდა თუ არა, ერს ვინც ჰყავდა წინაპრებად და ვისაც უფალმა არგუნა უფროს თაობად ყოფნა, ეს განგების ნებაა. მათ დაიმსახურეს მივაგოთ პატივი მათი ასაკის, მათი ჭაღარის, მათი სიდარბაისლის გამო.

სააკაშვილის გონება ცხრა წლის განმავლობაში ვერ ჩახვდა, რომ მთავარი ადამიანია ქვეყანაში და არა ქვა და ღორღით აშენებული სასტუმროები და რესტორნები, რომლებით სარგებლობის საშუალება მხოლოდ „ნაცებს“ ჰქონდათ.

როდის იწყება ადამიანის გადაგვარება? როცა უგრძნობი, უგულო და სულით ბინძურია, როცა ქვეყანაში განუკითხაობის, ყველაზე წმინდის შებღალვის, უსამართლობის ატმოსფეროა დამკვიდრებული. და ვინ იყო ამის მამამთავარი?.. — პრეზიდენტი!

წინაპრებმა იატაკქვეშეთში, უმკაცრესი რეპრესიების პირობებში გამოსცეს პატრიოტული წიგნები, დაწერეს მოთხრობები და ლექსები, გადაიღეს ეროვნული სულისკვეთებით გაჟღენთილი კინოფილმები და აახმიანეს სიმღერები, რომელმაც აანთო მოსახლეობა.

მართლაც გონებაშეზღუდული უნდა იყოს ადამიანი, რომ ვერ გააცნობიეროს, რა როლი იტვირთა ქართველმა ხალხმა და მისმა საუკეთესო ნაწილმა შემოქმედებითმა ინტელიგენციამ მე-20 საუკუნის მეორე ნახევარში საბჭოთა რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლაში, ვისაც სააკაშვილმა აკადრა „მუმიები“ და „ჯოჯოები“ ხართო, სწორედ მათ იტვირთეს 1956 წელს ქართველთა ღირსების დაცვა. სწორედ ისინი გამოვიდნენ ქუჩაში და სიცოცხლის ფასად დაიცვეს 1978 წელს დედაენა, სწორედ უფროსმა თაობამ შესძლო 1989 წლის 9 აპრილს ოკუპანტთა ტანკებს გადადგომოდა და სისხლის ფასად მოეპოვებინათ ქვეყნის დამოუკიდებლობა.

ეს ღირსებაა მათი, ეს გმირობაა მამათა თაობის.

რასაც ოკუპანტი საბჭოთა პერიოდში აკეთებდა მოსმენებით, შანტაჟით, საპყრობილეების გადავსებით, იმას აკეთებდა სააკაშვილი საკუთარი ხალხის მიმართ.

ბრმა კია არა, მტერი უნდა იყო, მწერლებს შენობა გაუსხვისო და გამოაპანღურო ნაჩუქარი სასახლიდან, შემოქმედებითი სასახლე წაართვა მუსიკოსებს, მხატვრებს, მოუშალო ბუდე იმ ადამიანებს, სადაც ერთად შეკრებას ახერხებდნენ. ისევ და ისევ ქვეყნისა და ერის ღირსებისა დასაცავად და სასიკეთოდ.

შემოქმედებითი ინტელიგენცია ახალი ხელისუფლებისაგან უსამართლობის დასრულებასა და სამართლიანობის ზეიმს ელის. მდგომარეობა რეგიონებში გაცილებით კატასტროფულია. მჩქეფარე შემოქმედებითი იმპულსი ჩაქრა ქუთაისში, ბათუმში, ზუგდიდში, თელავში, ფოთში და სხვა ქალაქებსა და რაიონებში.

სააკაშვილს მინდა დავუსვა შეკითხვა: ვინ არის მისი დროის მწერალი და შემომქმედი?... დეისაძე!.. შებრუნებული აზროვნების ადამიანი, რომელმაც შეურაცხყო ჩვენი სიწმინდე და „გასაბერი ანგელიზი“ დაჯღაბნა? ან ზაზა ბურჭულაძე მანიაკი?

აი, რა მოიტანა მისმა გარყვნილმა პოლიტიკამ. ასეთი თაობა მოსწონს — უზნეო, უკულტურო, დედაზე დაგეშილი, მხოლოდ გართობის მოყვარული და ხორციელი სიამით გატაცებული. თუმცა ვეღარ შეძლო ყველასთვის გონების არევა, ჯანსაღი თაობა წინაპართა ნაამაგარს ამაყად იცავს და მარად დაიცავს.

ვითომ ვერ ხედავს რას დაემსგავსა სატელევიზიო გადაცემები? რა სიბილწე იფრქვევა? რა უხამსობამ მოიცვა ორად გაყოფილი ქვეყანა?.. საბედნიეროდ მოსახლეობის უმრავლესობამ უარი თქვა აღვირახსნილობაზე. და მოელის როდის განიწმინდება ქვეყანა ფაშისტური იდეოლოგიისაგან.

სწორედ გერმანელმა ნაცისტებმა სააკაშვილის მსგავსად წაართვეს ქონება მოსახლეობის დიდ ნაწილს, ქვეყნიდან გააძევეს შემოქმედებითი ინტელიგენციის ღირსეული წარმომადგენლები, დაწვეს თომას მანის, ბერტოლტ ბრეხტის, ფრანკ კაფკას, რემარკისა და სხვათა ნაშრომები.

რა მოუვიდა საბოოლოდ ჰიტლერს? თვითმკვლელობით დაასრულა სიცოცხლე!

არის კი განსხვავება ფაშისტი ნაცისტების იდეოლოგიასა და ქართული ნაციონალების მოქმედებას შორის? არა! მათ დაანგრიეს არაერთი ქრისტიანული ტაძარი, დალეწეს ტელევიზია, ქვეყნიდან გაყარეს ინტელიგენციის საუკეთესო ნაწილი, გააუპატიურეს პატიმრები... ქვეყანაში დაამკვიდრეს უკანონობის, უსამართლობის, შიშის, პოლიციური რეჟიმის ატმოსფერო და უხაროდათ, რომ პარპაშებდნენ.

ერთი რამ აშკარაა, ანუ კანონზომიერებაა. ვინც გაემიჯნა ხელოვანთ, ვინც შებღალა, დაუპირისპირდა ერის სულიერ ღირებულებათა შემოქმედთ, ის ვერასოდეს იმარჯვებს. როგორც აქოჩრილი ზღვის ტალღები შეასკდება კლდის ნაპრალს და იფშვნება, ისე დაიფშვნება ყოველი ცდა ერის წარმართველი ძალის უგულებელყოფისა.

კიდევ ერთი გულსატკივარი, რომელიც ნაციონალების ბრიყვულ ქმედებას შეეწირა. ეს გახლავთ რუსული ენის სწავლების შეზღუდვა სკოლებში. ადრე რუსული ენა მეოთხე კლასიდან ისწავლებოდა, ახლა სასწავლო პროგრამით მხოლოდ მეშვიდე კლასიდანაა ნებადართული, არაა გათანაბრებული სხვა ევროპულ ენებთან.

შეიძლება პრეზიდენტს მეზობელი ქვეყნის ხელმძღვანელი არ მოსწონდეს, მაგრამ საქართველოს მოსახლეობამ რატომ უნდა გაწყვიტოს სულიერი და კულტურული ურთიერთობა დიდი შესაძლებლობების მქონე მეზობლებთან? და საერთოდ რა შუაშია საერთაშორისო ენის შეზღუდვა? ნაცმოძრაობის პოლიტიკურმა ელიტამ განახორციელა მენტალური რევოლუცია, ეს სიძულვილის აშკარა გამოვლინებაა, იმ ენისადმი, რომელსაც მსოფლოს უამრავ ქვეყანაში სწავლობენ. რუსეთს ევრაზიაში მომგებიანი გეოპოლიტიკური მდებარეობა უკავია, ეკონომიკური, გნებავთ სამხედრო თვალსაზრისით.

დანაშაულად მიმაჩნია მსოფლიო დონის კლასიკოსების: პუშკინის, ლერმონტოვის, ტოლსტოის, დოსტოევსკის და სხვათა შედევრების ამოღება სასწავლო პროგრამიდან, ცნობილი მწერლების: პასტერნაკის, ევტუშენკოს, ახმადულინას ნაღვაწთა დამალვა და მათ ნაცვლად შედარებით ნაკლებად ცნობილი შემოქმედთა ნაწარმოების შეთავაზება მოსწავლეებისათვის.

ცხადია, მუშტის პოლიტიკამ ჭეშმარიტ ღირებულებათა დამსხვრევამდე მიიყვანა ქვეყანა.

ცხოვრების არსი სიკეთის ქმნადობაა უპირველესად. ხელოვნება კი ზნეობრივ ზეგავლენას ახდენს ჩვენზე არა მარტო იმიტომ, რომ სიამოვნებას გვანიჭებს, არამედ ხელოვნების მიერ მონიჭებული სიამოვნება წარმოადგენს გზას ზნეობისაკენ.

როცა უზნეობა ყველაზე ფაქიზ და ცოცხალ ორგანიზმში ერევა მაშინ მისი შედეგი არის, ის რაც მოიმკა სააკაშვილმა.

ქვეყანა არ არის მხოლოდ დასახლებული პუნქტი. არამედ იგი ხალხის სამშობლოა. გურამ შარაძის, ზურაბ ჟვანიასა და სხვათა მშობელი და გამზრდელი, რომლებიც სხვებთან ერთად უმოწყალოდ ჩაასვენეს საფლავში. ნიჭიერია თუ ნაკლებ ნიჭიერი შემომქმედი, იგი გარკვეული დონის საგანძურს ქმნის. საგანძური კი ძვირფასია და ქვეყანა მზაობას უნდა ავლენდეს, მიიღოს და დაიცვას იგი, რადგან ხელოვნება სულის გაზაფხულის მსახურია.

**ბორის დავითაია.**
**ღირსების ორდენოსანი, აკ. წერეთლის სახელობის პრემიის ლაურეატი, მეცნიერებათა აკადემია „აიას“ წევრი.**

**საკითხის დასმის წესით**

# ბიუჯეტთაშორისი ურთიერთობების რეგულირების აუცილებლობის შესახებ

**გასული საუკუნის ბოლო ათწლეულიდან საქართველოში დაწყებულმა უდიდესმა სისტემურმა გარდაქმნებმა და უსისტემოდ განხორციელებულმა რეფორმებმა მრავალი მწვავე პრობლემა წარმოქმნა. ეკონომიკის ტრანსფორმაციის პროცესი წინააღმდეგობრივად წარიმართა.** ქვეყნის თავისებურებების არაადეკვატური საპრივატიზაციო პოლიტიკის გატარებასა და სრულყოფილი საკანონმდებლო ბაზის შეუქმნელად ბიზნესის ორგანიზაციული სტუქტურების ჩამოყალიბებას უარყოფითი ეფექტები მოჰყვა. ეკონომიკის მონოპოლიზაციამ და კრიმინალიზაციამ, სხვა ნეგატიურ ფაქტორებთან ერთად, დაბალი საქმიანი აქტიურობა და მაღალი უმუშევრობა გამოიწვია, რაც, თავის მხრივ, გარკვეულ პერიოდში საბიუჯეტო კრიზისსა და, საბოლოო ანგარიშით კი სიღარიბის სწრაფ ზრდასა და ეკონომიკის დაბალ კონკურენტუნარიანობაში აისახა. სტაბილურობა, ეკონომიკური განვითარება, სოციალური სამართლიანობა, ეროვნული თანხმობა და თავისუფლება მხოლოდ პოლიტიკურ განცხადებებად დარჩა. ეკონომიკური რეფორმების სხვისი კარნახით, მოუფიქრებლად განხორციელების სუსხი საზოგადოებამ განსაკუთრებით მწვავედ ეკონომიკის კონვერსიის ორი ათეული წლის შემდეგ შეიგრძნო.

ისეთი შთაბეჭდილება შეიქმნა, რომ თითქოს საქართველომ დამოუკიდებლობა ახლა მოიპოვა და ეკონომიკის რეფორმირებაც ახლა დაიწყო. ლაგის ფაქტორმა, რომელიც გამოხატავს პრობლემის არსებობის აღიარებისა და მარეგულირებელი მექანიზმის ამოქმედების შესახებ გადაწყვეტილების მიღებას შორის დროის შუალედს, განსაკუთრებით რეგიონებში იჩინა თავი. უგულვებელყვეს სახელმწიფოს ერთ-ერთი მთავარი ფუნქცია — ტერიტორიულ ერთეულებში მაკროეკონომიკური პროპორციების შენარჩუნება და დისპროპორციების აღმოფხვრა. ეკონომიკური, სოციალური, დემოგრაფიული, ეკოლოგიური, ეთნიკური და ა.შ. რეგიონული კრიზისები სახელმწიფო პოლიტიკის ნორმად იქცა. ამიტომ დღეს, საქართველოსთვის ამ მეტად რთულ სოციალურ-ეკონომიკურ პირობებში, როგორც არასდროს, აუცილებელია განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს ბიუჯეტთაშორისი ურთიერთობების დარეგულირებას, ცენტრსა და რეგიონებს შორის არა მხოლოდ ფინანსური რესურსების რაციონალურ ტერიტორიულ განაწილებას, არამედ საგადასახადო უფლებამოსილებისა და საბიუჯეტო პოლიტიკისადმი პოლიტიკური პასუხისმგებლობის განაწილებას.

არანაკლები მნიშვნელობისაა ამ პრობლემისადმი როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული ხასიათის საკითხების შესწავლა. მეცნიერ-მუშაკების ვალია, გავაძლიეროთ ადგილობრივი თვითმმართველობის პრობლემის კვლევა, განსაკუთრებული ყურადღება მივაქციოთ სოფელს, რომელიც დღეს ნელ-ნელა იფერფლება და ხელისუფლებას დროულად მივაწოდოთ საყურადღებო წინადადებები და რეკომენდაციები. მკითხველი ჩავაფიქროთ იმაზე, თუ საით მიდის ქვეყანა, რა სირთულეებს ვაწყდებით ამ გაუკვალავ გზაზე და როგორ შეიძლება ავიცილოთ მოსალოდნელი საფრთხე. ეს მეტად რთული, მაგრამ ამავე დროს მეტად საჭირო საქმეა.

**როზეტა ასათიანი**
**ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სრული პროფესორი; ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის მეცნიერ-კონსულტანტი.**



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

## ხელაოება მღვრიე წყალში

**სანამ საქართველოში ერთი ნაციონალი მაინც იბოგინებს, მანამ არ გავჩერდები", — განაცხადა for.ge-ს პრეს-კლუბში ადვოკატმა შალვა ხაჭაპურიძემ და რამდენიმე სისხლის სამართლის საქმე წარმოადგინა, რომლებთან დაკავშირებითაც იგი საჩივრებით და თანდართული მტკიცებულებებით მთავარ პროკურატურას მიმართავს.**



# „მერაბიშვილის სიმამრმა პოლიტპატიმრის ოჯახს 60 000 დოლარი გამოსძალა"

თავდაპირველად ხაჭაპურიძე თეთრიწყაროს გამგეობასთან მომხდარ ინციდენტს გამოეხმაურა. **მან საზოგადოებას შეახსენა, რომ თეთრიწყაროს რაიონში მაჟორიტარ დეპუტატად იყრიდა კენჭს, მაგრამ დავით ბეჟუაშვილმა იქ არჩევნები გააყალბა, რასთან დაკავშირებითაც ხაჭაპურიძე უახლოეს დღეებში მთავარ პროკურატურას საჩივრით მიმართავს და გაყალბების ფაქტების გამოძიებას მოითხოვს. ხაჭაპურიძის განცხადებით, რამდენიმე დღის წინათ თეთრიწყაროს მოსახლეობის გარკვეულ ჯგუფს რაიონის გამგებელთან შეხვედრა ჰქონდა და წუხილი გამოთქვეს იმის გამო, რომ თეთრიწყაროს რაიონის საკრებულოს თავმჯდომარე სახელმწიფო თანხების მითვისებისთვის გასამართლებული პირია. კერძოდ, საუბარია საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე თამარ დალაქიშვილზე, რომელიც 2008 წელს, რუსთავის საქალაქო სასამართლომ სახელმწიფო ბიუჯეტიდან 90 000 ლარის გაფლანგვის ბრალდებით გაასამართლა, მასთან საპროცესო შეთანხმება გააფორმა და 2000 ლარის გადახდის სანაცვლოდ გაათავისუფლა.**

**„ამდენად, ადამიანმა 90 000 ლარი მიითვისა და 2000 ლარის გადახდის სანაცვლოდ გაათავისუფლეს. შემდეგ, არჩევნების წინ, ამ ქალბატონს უცებ მოუხსნეს ნასამართლობა, იგი ისევ საკრებულოს წევრად მოგვევლინა და უზარმაზარი მონაწილეობა მიიღო არჩევნების გაყალბებაში. ამიტომ, თეთრიწყაროს რაიონის მოსახლეობის პროტესტი მის წინააღმდეგ სრულიად ბუნებრივია და ისინი ითხოვენ (არსებობს 2000 ადამიანის ხელმოწერა) სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა თეთრიწყაროს რაიონის საკრებულოს, გამგეობის და ოცი სოფლის გამგეობის ფინანსური შემოწმება დაიწყოს. მიწები ერთი კაცის — დავით ბეჟუაშვილის ხელშია, მანგლისში მან ბავშვთა სანატორიუმი მიითვისა, რომელიც 18 ჰექტარზეა განლაგებული და მთელი რაიონი თავისი და თავისი ნათესავების ხელში მოაქცია",** — აცხადებს შალვა ხაჭაპურიძე.

მისი თქმით, თეთრიწყაროს რაიონის მოსახლეობის გამგებელთან შეხვედრა რამდენიმე დღის წინათ მოხდა. გუშინ კი დაგეგმილი იყო მათი გამგეობის შენობის წინ შეკრება, რაც ნაციონალი დეპუტატებისთვის ცნობილი იყო და სწორედ ამიტომ, ისინი ადგილზე მივიდნენ, რათა პოლიტიკური ქულები ჩაეწერათ და შემდეგ ეთქვათ, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის წევრებს „ქართული ოცნება" მუშაობის საშუალებას არ აძლევსო. ხაჭაპურიძის განცხადებით, „ნაციონალური მოძრაობის" დეპუტატებმა დანაშაულის პროვოცირება მოახდინეს, რაც სისხლის სამართლის კოდექსით დასჯადი ქმედებაა.

**პროკურატურას მიმართავს მოქალაქე გოჩა გიუნაშვილი, რომელიც გორის რაიონში „ტირიფონჰესს" ფლობდა და რომელიც, ადვოკატ ხაჭაპურიძის განცხადებით, მას დავით ბეჟუაშვილმა წაართვა.** კერძოდ, ადვოკატის თქმით, ჰესი გოჩა გიუნაშვილის მამის საკუთრება იყო. ვარდების რევოლუციის შემდეგ ეს კაცი გორის რაიონულ სასამართლოში დაიბარეს და ჰესის ბეჟუაშვილზე გადაფორმება მოსთხოვეს, რაზეც მან უარი განაცხადა. მოგვიანებით, ნერვიულობის შედეგად ეს ადამიანი გარდაიცვალა, მაგრამ ზეწოლა მის ოჯახზე არ შეწყვეტილა. ადვოკატის თქმით, ამის შემდეგ უკვე მის შვილს, გოჩა გიუნაშვილს დაჭერის მუქარით უბრძანებდნენ, მისი ქონება ბეჟუაშვილისთვის გადაეფორმებინა, რასაც იგი წინააღმდეგობას უწევდა.

**„ამის შემდეგ საჯარო რეესტრში გაჩნდა ყალბი დოკუმენტი, რომლის თანახმადაც, თითქოს, ამ ჰესს ჰქონდა საგადასახადო დავალიანება 325 000 აშშ დოლარის ოდენობით. მიუხედავად იმისა, რომ გოჩა გიუნაშვილმა სასამართლოს და სხვადასხვა სახელმწიფო მოხელეებს მიმართა, წლების განმავლობაში უთანასწორო ბრძოლა აწარმოა, მისი ქონება ყალბი დავალიანების გამო აუქციონზე გაიტანეს, ქონება ბანკმა შეიძინა, რომლისგანაც ჰესი კომპანია „რუსმეტალმა" შეიძინა. შემდეგ კი, ამ ქონების შემძენი დავით ბეჟუაშვილის კომპანია გახდა, რომელიც გენერალური დირექტორი გახლავთ ნათია თურნავა და სხვადასხვა საქმეებში კიდევ ბევრჯერ გაიგებთ ამ კომპანიის შესახებ",** — ამბობს შალვა ხაჭაპურიძე.

**მისი თქმით, ჰესთან ერთად გიუნაშვილს ამ ჰესთან მდებარე ყველა შენობა-ნაგებობა და კიდევ სხვა ქონებაც ჩამოართვეს. ამიტომ, გოჩა გიუნაშვილი ითხოვს სისხლის სამართლის საქმე აღიძრას რამდენიმე ჩინოვნიკის მიმართ. მათ შორის დავით ბეჟუაშვილის, ზურაბ ადეიშვილის (რომელიც ადვოკატ ხაჭაპურიძის განცხადებით, გიუნაშვილის ქონების ჩამორთმევაში აქტიურად მონაწილეობდა), შემოსავლების სამსახურის უფროსის გიორგი ცხაკაიას, გორის რაიონული სასამართლოს მოსამართლეების, საჯარო რეესტრის გორის სარეგისტრაციო სამსახურის უფროსის დავით ონიაშვილის მიმართ და ა.შ.** ადვოკატი ხაჭაპურიძე ასევე ითხოვს, რომ ეს საქმე მის მიერ პროკურატურაში ბეჟუაშვილის წინააღმდეგ შეტანილ დანარჩენ საქმეებს გაუერთიანდეს და ამასთანავე აღნიშნავს, რომ პროკურატურას დავით ბეჟუაშვილის დანაშაულებრივი საქმიანობის შესახებ კიდევ ბევრ მასალებს მიაწვდის.

კიდევ ერთი საჩივარი მთავარ პროკურატურაში გუშინ გრიგოლ ხურციძის სახელით შევიდა. **შალვა ხაჭაპურიძე აცხადებს, რომ გრიგოლ ხურციძე ქუთაისის „ტორპედოს" მფლობელი იყო. 2006 წლის 11 ივლისს იგი ადვოკატის თქმით, აბსურდული ბრალდებით დააპატიმრეს, ხოლო ვინაიდან ბრალდებას ვერ უმტკიცებდნენ, 130 000 ლარის გადახდა და „ტორპედოს" ვინმე კვიკვინიას („სამი ტუზის" მფლობელის) სახელზე გადაფორმება მოსთხოვეს. ადვოკატი ამბობს, რომ ხურციძის პატიმრობაში ყოფნის დროს, მის ოჯახზე ზეწოლა ხორციელდებოდა, ამიტომ ხურციძე იძულებული გახდა მის მფლობელობაში მყოფი გუნდი „ტორპედო" კვიკვინიასთვის გადაეფორმებინა.** თუმცა ადვოკატი აქვე აღნიშნავს, რომ კვიკვინიასთან შეხვედრა ჰქონდა და იმ ადამიანმა განუცხადა (რასაც იგი დაკითხვებზეც დაადასტურებს), რომ ეს გუნდი თავისი სურვილით არ უყიდია, მასაც აიძულეს ამის გაკეთება.

**„კვიკვინიას ხელში ამ გუნდს არ უფუნქციონირია, შემდეგ კი იგი ხელოვნურად, ფაქტობრივად, მხოლოდ ქაღალდზე შექმნილ ფირმას „ქუთაისი 2008" გადაეცა. მოგვიანებით კი ხურციძემ გაიგო, რომ გუნდი „ვისოლ ჯგუფს" უნდა შეეძინა. ამიტომ, მან რამდენჯერმე საჯარო განცხადებით მოუწოდა „ვისოლ ჯგუფს", რომ მისთვის უკანონოდ ჩამორთმეული გუნდი არ შეეძინა, მაგრამ რამდენიმე ხანში ხურციძეს დაუკავშირდა ქუთაისის ყოფილი მერი თევდორაძე, რომელმაც უთხრა, რომ იმერეთის გუბერნატორის დავალებით მოქმედებდა და გააფრთხილა თუ კიდევ გააგრძელებდა „ტორპედოსთვის" ბრძოლას, მას ისევ დააპატიმრებდნენ. ამიტომ, ხურციძე იძულებული გახდა, გაჩერებულიყო და დღეს ქუთაისის „ტორპედო" სიმბოლურ თანხად, ერთ ლარად „ვისოლ ჯგუფს" აქვს გადაცემული",** — აღნიშნავს შალვა ხაჭაპურიძე.

იხ. 6 გვ.

## სოციალური სფერო: იმედი არის!

# შემწეობა შესაძლოა, გაორმაგდეს, პენსია კი ყველასთვის გათანაბრდება

**რამდენი იქნება მომავალი წლიდან პენსია და დევნილთა შემწეობა? ახალი მთავრობა ჯერჯერობით კონკრეტულ ციფრებს არ ასახელებს. არადა, კომუნალურ ტარიფებთან ერთად, ხელისუფლების სოციალურ მიმართულებას ყველა გადაჭარბებული ინტერესით ელოდება.**

**პენსიების შესახებ ინფორმაციები წვეთ-წვეთობით მოჟონავს. ამ ჯერზე გაირკვა, რომ 2013 წლიდან ყველა ასაკით პენსიონერისათვის პენსიის რაოდენობა თანაბარი იქნება. ეს ინფორმაცია საქართველოს ფინანსთა მინისტრმა ნოდარ ხადურმა პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის სხდომაზე დაადასტურა, სადაც საქართველოს 2013 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტს განიხილავდნენ.**

მინისტრმა დეტალურად განიხილა ბიუჯეტის პარამეტრები და სამინისტროებისათვის განსაზღვრული ხარჯები. ხადურის განმარტებით, მთავრობის მიზანია მაკროეკონომიკური სტაბილურობის შენარჩუნება. ახალი ბიუჯეტის პროექტის მიხედვით 2013 წლისთვის ნომინალური შიდა პროდუქტი 10-11%-ით გაიზრდება და 29,3 მილიარდი ლარი იქნება. შენარჩუნდება ეროვნული ვალუტის გაცვლითი კურსის სტაბილურობა.

**ფინანსთა მინისტრმა ასევე ისაუბრა საგადასახადო კოდექსში ცვლილებების შესახებ პროექტზეც, რომელიც ბიუჯეტის პროექტთან ერთად შემოვიდა პარლამენტში განსახილველად. პროექტი წინა წლებთან შედარებით მნიშვნელოვან სიახლეებს ითვალისწინებს, მაგალითად განსაზღვრულია დაუბეგრავი მინიმუმის შემოღება, რაც თითოეული დაბალშემოსავლიანი მოქალაქისათვის საშემოსავლო გადასახადის 20-დან 18 პროცენტამდე შემცირებაზე უფრო რეალურ ეფექტს მოახდენს.**

ფინანსთა მინისტრთან ერთად პენსიების თაობაზე მწირ ინფორმაციას გასცემენ დეპუტატებიც. ზაქარია ქუცნაშვილის თქმით, 2013 წლის ბიუჯეტი აუცილებლად გაითვალისწინებს პენსიების მნიშვნელოვან ზრდას, მაგრამ კონკრეტული აქაც არაფერი სახელდება.

**„ჩვენი დანაპირებია, რომ ყველა ასაკობრივ პენსიონერს პენსია ჰქონდეს არანაკლებ საარსებო მინიმუმისა. ვფიქრობთ, რომ ამ დანაპირებს 2013 წელს ავუსრულებთ მოქალაქეებს. იმავდროულად ვგეგმავთ, რომ შევასრულოთ მორიგი დაპირება შემწეობების გაორმაგების თაობაზე. ასევე ვგეგმავთ განსაზღვრული ზღვრის ქვემოთ მიღებული შემოსავლების გათავისუფლება მოხდეს საშემოსავლო გადასახადისგან, რაც საშუალებას მისცემს მცირეხელფასიან მუშაკებს, არ დაიბეგრონ 20 პროცენტით. ასე რომ, 2013 წლის ბიუჯეტი ამ კუთხით ძალიან საინტერესო ეკონომიკური კანონი იქნება და დარწმუნებული ვარ, რომ საქართველოს დღევანდელი მთავრობა უახლოეს კვირებში დაიწყებს საარჩევნო პროგრამის რეალიზაციის პროცესს",** — ამბობს ქუცნაშვილი.

რაც შეეხება დევნილთა შემწეობას, გავრცელებული ინფორმაციით, ამ სახის ფულადი დახმარება 2013 წლიდან გაორმაგდება. საპარლამენტო უმცირესობისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენელთა განცხადებით, ფინანსური რესურსი როგორც კი გამოჩნდება, შემწეობის თანხა აუცილებლად უნდა გაიზარდოს და ის საარსებო მინიმუმს მიუახლოვდეს.

**დევნილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა სამინისტროში ჯერჯერობით ციფრებს არ ასახელებენ. უწყებაში აცხადებენ, რომ საკითხს დევნილებთან კონსულტაციის გარეშე არ განიხილავენ. ერთ-ერთი მოსაზრებით, რომელიც მინისტრმა დავით დარახველიძემ გაახმაურა, სოლიდური შემოსავლისა და მაღალი თანამდებობის პირებს, შესაძლოა, შემწეობა მოეხსნათ კიდეც. ამ გამოთავისუფლებული თანხის ხარჯზე კი დახმარება საარსებო მინიმუმამდე გაეზარდოთ იმ დევნილებს, რომლებიც შეჭირვებულად ცხოვრობენ და შემწეობა მათთვის ერთადერთი შემოსავლის წყაროა.**

ამ ეტაპზე ფულად დახმარებას სტატუსის მქონე ყველა დევნილი იღებს. კერძო სექტორში ჩასახლებულთათვის თითო სულზე 28 ლარი, ხოლო უფრო ნაკლებია ის კომპაქტურ დაწესებულებებში ჩასახლებულებისთვის და 22 ლარით განისაზღვრება.

**იძულებით გადაადგილებულ პირთა ფულადი დახმარების გაზრდაზე საუბარი მხოლოდ ხელისუფლებაში „ქართული ოცნების" მოსვლის შემდეგ გახდა შესაძლებელი, თუმცა თანხის მოცულობა ჯერჯერობით სადავოა.**

**უმცირესობაში გადაბარგებულ ნაცმოძრაობას არაფერი აქვს საწინააღმდეგო დევნილთა შემწეობის გაზრდასთან დაკავშირებით. საპარლამენტო უმცირესობის წევრის გიგი წერეთელის განცხადებით, იმ შემთხვევაში თუ დახმარების თანხა გაიზრდება, უმცირესობა ამას მიესალმება. ამასთან, შემწეობების გაცემა დიფერენცირებულად, ადამიანების სოციალური მდგომარეობიდან გამომდინარე უნდა მოხდეს.**

ეკა ბაქრაძე

## ინფორმაცია

### ტუღუშს სახალხო დამცველის უფლებამოსილება შეუწყდა

სახალხო დამცველის პოსტი ოფიციალურად ვაკანტურია. პარლამენტის რიგგარეშე სხდომაზე გიორგი ტუღუშს უფლებამოსილება ვადაზე ადრე შეუწყდა.

პარლამენტის თავმჯდომარემ დავით უსუფაშვილმა ხაზი გაუსვა, რომ სწორედ დღეიდან იწყება სახალხო დამცველის კანდიდატურების წარმოდგენის კანონმდებლობით განსაზღვრული ვადა.

სახალხო დამცველს პარლამენტი 5 წლის ვადით, სრული შემადგენლობის ხმების უმრავლესობით ირჩევს. კანდიდატურის წარდგენის უფლება აქვთ პრეზიდენტს, საპარლამენტო ფრაქციას, პარლამენტის წევრთა სულ ცოტა 6-კაციან ჯგუფს, რომლებიც არ შედიან არც ერთ ფრაქციაში. ერთი და იგივე პირი სახალხო დამცველის თანამდებობაზე შეიძლება აირჩეს ზედიზედ მხოლოდ ორჯერ.

ამასთან, კანონის დადგენილი ვადის გათვალისწინებით, ახალი სახალო დამცველის არჩევა უნდა მოხდეს არა უგვიანეს 30 დღისა.

როგორც ცნობილია, სახალხო დამცველის პოსტზე უმრავლესობის მხრიდან ნინა ხატისკაცის კანდიდატურა განიხილება, რომელთანაც გასული კვირის ბოლოს უმრავლესობის წევრებმა შეხვედრა გამართეს.

ინტერპრესი



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

დავა

**წინა ხელისუფლების მმართველობის პერიოდში არაერთი ადამიანი პოლიტიკური ნიშნით იდევნებოდა, მათი დიდი ნაწილი დღეს პატიმარია. რა თქმა უნდა, „ნაციონალური მოძრაობის“ მმართველობის ხანაში ამ ადამიანების საქმეებს არავინ გადახედავდა, დღეს კი, მათ ეს შანსი გაუჩნდათ. 1 ნოემბერს საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტთან პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრებულ და დევნილ პირთა საკითხების შემსწავლელი სამუშაო ჯგუფი შეიქმნა. აღნიშნული ჯგუფი სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებისგან დაკომპლექტდა, რომელშიც სხვა ორგანიზაციებთან ერთად, „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და „კონსტიტუციის 42-ე მუხლი“ შედიოდნენ, თუმცა, დღეს ამ ორმა ორგანიზაციამ ეს სამუშაო ჯგუფი დატოვა.**

მათი განცხადებით, ისინი მიესალმებიან საქართველოს პარლამენტის ინიციატივას პოლიტპატიმრების საკითხის შესწავლასთან დაკავშირებით და მასში სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობას და აღნიშნავენ, რომ აღნიშნული პროცესის წამოწყება და სწორად წარმართვა სამართლიანობის აღსადგენად უმნიშვნელოვანესია.

**„სწორედ ამიტომ გადავწყვიტეთ, მონაწილეობა მიგვეღო სამუშაო ჯგუფის მუშაობაში და ამ მნიშვნელოვან პროცესში ჩვენი წვლილი შეგვეტანა, თუმცა, სამუშაო ჯგუფის მუშაობისას არაერთი პრობლემა გამოვლინდა, რომლებიც ჯგუფის ეფექტიანად მუშაობისათვის ხელისშემშლელი ფაქტორი აღმოჩნდა. სამუშაო ფორმატი და ვადები არ იძლევა საკითხის საფუძვლიანად შესწავლის შესაძლებლობას. ჩვენ მივიჩნევთ, რომ ჯგუფმა თითოეული საქმის შესახებ დასაბუთებული, ობიექტური და სამართლიანი რეკომენდაციები უნდა მოამზადოს, რათა ზედაპირული შეფასებები, უზუსტობები და უსამართლო მიდგომები თავიდან ავიცილოთ. მიგვაჩნია, რომ დადგენილი ორკვირიანი ვადის ფარგლებში და ჯგუფის მიერ განსაზღვრული ფორმატით შეუძლებელია 185 პოლიტიკური პატიმრისა და 13 პოლიტიკური დევნილი პირის საქმეებზე სრულყოფილი დასკვნების მომზადება. ჩვენთვის ცნობილია, რომ სამუშაო ჯგუფის მანდატის ვადის გაგრძელება არ იგეგმება, რაც საკითხის სიღრმისეულად შესწავლის შესაძლებლობას არ იძლევა. მიუხედავად ჩვენი არაერთი მცდელობისა, ჯგუფის მუშაობის ფორმატის შეცვლა და ჯგუფში აღნიშნულის თაობაზე შეთანხმების მიღწევა ვერ მოხერხდა. ზემოაღნიშნული მიზეზების გამო, „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“ და „კონსტიტუციის 42-ე მუხლი“ ვერ კისრულობს ამ ფორმატით სამუშაო ჯგუფში მონაწილეობის ვალდებულებას და მუშაობას წყვეტს. ამასთან, გამოვხატავთ მზადყოფნას, ჩვენს მიერ წარმოებული საქმეები და მომზადებული დასკვნები წარვადგინოთ ჯგუფში და ამ მხრივ მას მუშაობაში დავეხმაროთ“,** — ნათქვამია „საიასა“ და „კონსტიტუციის 42-ე მუხლის“ მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

პარლამენტთან არსებულ ჯგუფში რამდენიმე ორგანიზაცია, მათ შორის „ჰელსინკის ჯგუფი“, „ადამიანის უფლებების დაცვის ორგანიზაცია“, „საია“ და „კონსტიტუციის 42-ე მუხლი“ მონაწილეობენ. როგორც აღვნიშნეთ, ბოლო ორმა ორგანიზაციამ სამუშაო ჯგუფი დატოვა. For.ge-ს ჯგუფში დარჩენილი ორგანიზაციების წარმომადგენლებს ესაუბრა. უფლებადამცველი ნანა კაკაბაძე აცხადებს, რომ ის ადამიანები, რომლებიც ჯგუფში დარჩნენ, 24-საათიან რეჟიმში იმუშავებენ, რათა პოლიტპატიმრების სიები პარლამენტს დროულად გადაეცეს. მისი თქმით, სამუშაო ჯგუფი დატოვეს იმ ადამიანებმა, რომლებიც პოლიტპატიმრების საქმეებს არ იცნობენ.

**„ამ პოლიტპატიმრების სიები ჯერ კიდევ 2009 წლიდან არსებობს და მიმაჩნია, რომ ამ ადამიანებს ამ საქმეების ნახევარზე მეტი უნდა სცოდნოდათ, თუმცა, აღმოჩნდა, რომ საქმეების უმეტესობა ჯგუფში შემავალი ადამიანებისთვის უცნობი იყო. ამიტომ, ვინაიდან, მათ ეს საქმეები თავის დროზე არ ჰქონდათ შესწავლილი, ახლა ამისთვის დრო სჭირდებათ, მაგრამ ეს დრო ამ ადამიანების უკანონო პატიმრობის გახანგრძლივებას იწვევს. დღეს არის იმის შანსი, რომ ჩვენი გადაწყვეტილებით ეს ადამიანები საპყრობილეებიდან განთავისუფლდნენ. ამიტომ, ჩვენ არ გვაქვს უფლება, ჩვენი დროის უქონლობის და ჩვენი საქმის უცოდინრობის გამო ეს ადამიანები ციხეებში ჩავტოვოთ“,** — ამბობს ნანა კაკაბაძე.

ამიტომ, იგი მიიჩნევს, რომ იმ ადამიანებმა, ვინც ამ საქმეებს იცნობს, მუშაობა უნდა გააგრძელონ და პარლამენტს პოლიტპატიმრების სია გადასცენ. კაკაბაძის თქმით, ეს ის გამონაკლისია, როდესაც უფლებადამცველების და ხელისუფლების ნება ერთმანეთს ემთხვევა და ეს შანსი აუცილებლად გამოყენებული უნდა იყოს.

## განხეთქილება პოლიტპატიმრების თემაზე მომუშავე უფლებადამცველებს შორის



**„ჩვენ არ გვეკითხებიან, ეს ადამიანები დამნაშავეები არიან, თუ უდანაშაულოები. ჩვენ გვეკითხებიან, ისინი პოლიტიკური ნიშნით არიან დაპატიმრებულები, თუ — არა. ჩვენ მხოლოდ ეს უნდა ვუთხრათ პარლამენტს და ამ ჩვენი სიტყვით ეს ადამიანები გამოვლენ ციხეებიდან. ამიტომ, დაუშვებელია ახლა იმაზე საუბარი, რომ „ჩემთვის ეს უცნობია და დრო მომეცით ამის შესასწავლად“, რადგან ცოტა ხანში საშემოდგომო სესიაც დასრულდება და ამ საქმეების განხილვაც 2013 წლისთვის გადაიწევს“,** — ამბობს ნანა კაკაბაძე.

ამიტომ, იგი აცხადებს, რომ ვისაც უნდა, ის დარჩება ამ ჯგუფში და პოლიტპატიმრების თემაზე მუშაობას გააგრძელებს.

„ჰელსინკის ჯგუფის“ თავმჯდომარე ლალი აფციაური **for.ge**-სთან საუბარში აღნიშნავს, რომ თვითონ პარლამენტთან შექმნილი ჯგუფის მუშაობაში არ მონაწილეობს, მაგრამ „ჰელსინკის ჯგუფმა“ ადამიანის უფლებათა კომიტეტთან შექმნილ კომისიას გამზადებული მასალა მიაწოდა, რაზეც 2007 წლიდან მუშაობდა.

**„ეს არ არის გუშინ და გუშინწინ შედგენილი სიები და არა ამ შედეგებისთვის არის შედგენილი, რაც ახლა ხდება. ამ სიებზე მუშაობა 2007 წლიდან მიმდინარეობს იმ მიზნით, რომ დადასტურებული ყოფილიყო ამ ადამიანების პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრება და არა იმისთვის, რომ უცებ ვიღაც გამოჩნდებოდა, ვინც პოლიტიკურ ამნისტიას გამოუშვებდა. ამიტომ, ეს რეალური სიებია. მე არ ვიცი რა სტანდარტებზე საუბრობს „კონსტიტუციის 42-ე მუხლი“, ან ვინმე სხვა. ძალიან ვთხოვ ამ არასამთავრობო ორგანიზაციებს საკუთარ თავზე ძალიან დიდი წარმოდგენა ნუ აქვთ და ხალხის ბედზე ნუ თამაშობენ“,** — აცხადებს ლალი აფციაური.

უფლებადამცველებს „კონსტიტუციის 42-ე მუხლის“ აღმასრულებელი დირექტორი ნაზი ჯანეზაშვილი პასუხობს.

მისი თქმით, ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეამ მიმდინარე წლის ოქტომბერში გამოსცა რეზოლუცია №1900, რომლითაც პოლიტიკური პატიმრების დადგენისათვის ხუთი დეფინიცია განისაზღვრა და ეს ერთგვარი ტესტივით არის, რისი მიხედვითაც საქმეების შესწავლა ხდება. ჯანეზაშვილი ხაზს უსვამს ამავე რეზოლუციის ბოლო პუნქტს, სადაც წერია, რომ ევროპის საბჭო წევრ სახელმწიფოებს მოუწოდებს, როდესაც პოლიტიკური პატიმრების საქმეებს განიხილავენ, თითოეულ საქმესთან დაკავშირებით სწორედ ამ დეფინიციებთან შესაბამისობაში მიიღონ გადაწყვეტილება.

**„ვინაიდან ჩვენ ევროპის საბჭოს წევრი სახელმწიფო ვართ, ამიტომ, პარლამენტს ვკითხეთ, თუ აპირებდა ამ საკითხის ევროპის საბჭოს სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანას. ეს მოხდა სულ პირველ შეხვედრაზე, როდესაც სამუშაო ჯგუფის იდეა იქნა ინიცირებული. მათ ამაზე თანხმობა განგვიცხადეს. შემდეგ შეხვედრაზე ევროპის საბჭოს სტანდარტების ქართული თარგმანიც დაგვახვედრეს, მაგრამ, როგორც აღმოჩნდა, საკითხის გავლა სიების მიხედვით იგეგმებოდა. ამდენად, კონკრეტული პატიმარი არის თუ არა პოლიტპატიმარი, ამასთან დაკავშირებით გადაწყვეტილება ძალიან ზედაპირულად უნდა მიგვეღო, აგვეწია ხელი და ამ გადაწყვეტილებისთვის მიგვეცა ხმა. რა თქმა უნდა, ჩვენთვის ეს მიუღებელია“,** — აცხადებს ნაზი ჯანეზაშვილი.

მისი თქმით, არასამთავრობოებმა დააყენეს საკითხი, რომ თითოეული პოლიტპატიმრის საკითხთან დაკავშირებით გადაწყვეტილების კონკრეტული სამოტივაციო ნაწილი დადებულიყო, ანუ თითოეულ პატიმართან დაკავშირებით მსჯელობა სწორედ ევროპის საბჭოს სტანდარტების შესაბამისად მომხდარიყო.

**„ეს საკითხი ჩვენს ოფისში გამართულ შეხვედრაზე პარასკევს დავაყენეთ და ძლივს დავითანხმეთ ისინი ამაზე, მაგრამ შაბათს აღმოჩნდა, რომ, თურმე, დრო ცოტა გვაქვს და სიები ამის გარეშე უნდა გავიაროთ. ამდენად, პრობლემა ორ ძირითად რამეშია. პირველი არის ის, რომ პარლამენტის მხრიდან დავინახე, რომ ის ძალიან ჩქარობს. მათ სურთ, სიები რაც შეიძლება ჩქარა გადაეცეთ, რათა მათზე უკვე პარლამენტმა იმსჯელოს. მეორეს მხრივ, არასამთავრობოების მხრიდანაც ამ ნაჩქარევმა ვადებმაც განაპირობა ის, რომ ამ საკითხზე დაჩქარებულად და ზედაპირულად უნდა გვემსჯელა. ამაზე არც ჩვენ და არც „საია“ თანახმა არ ვიყავით, რადგან თემა ძალიან ფაქიზია და მასზე ასე ზედაპირულად მსჯელობა არ შეიძლება“,** — ამბობს ნაზი ჯანეზაშვილი.

მისივე თქმით, არსებობს იმის საფრთხე, რომ პოლიტპატიმრების სიებში მოხვდნენ ის ადამიანები, რომლებიც პოლიტპატიმრები არ არიან, მაგრამ, შესაძლოა, ეს სტატუსი მათაც მიენიჭოთ. „კონსტიტუციის 42-ე მუხლის“ აღმასრულებელი დირექტორი განმარტავს, რომ სტატუსი პოლიტპატიმარი მხოლოდ იმას არ ნიშნავს, რომ ადამიანი ციხიდან განთავისუფლდება და ამით ყველაფერი დასრულდება. მისი განცხადებით, ეს არის სტატუსი, რომელიც შესაძლოა ადამიანმა მთელი ცხოვრება ატაროს, თქვას, რომ იყო პოლიტპატიმარი და გარკვეულ რეაბილიტაციასაც დაექვემდებაროს. შესაბამისად, ამ სტატუსით არ უნდა ისარგებლონ იმ ადამიანებმა, ვინც მას არ იმსახურებს. ამიტომ, ამ საკითხის განხილვა საფუძვლიანად და ევროპის საბჭოს სტანდარტების შესაბამისად უნდა მოხდეს. ჯანეზაშვილი აცხადებს, რომ საქმეების ადგილზე შესწავლა სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ეს ადამიანები პოლიტპატიმრები არიან. ამისათვის აუცილებელია მათი საქმეების ევროპის საბჭოს სტანდარტების შესაბამისად განხილვა.

**დაბოლოს, ადამიანის უფლებათა დაცვის საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარემ ეკა ბესელიამ განაცხადა, რომ პოლიტპატიმრების თემაზე მომუშავე კომისიას, შესაძლოა საქმიანობის ვადები გაუხანგრძლივდეს. ბესელიას თქმით, კომისიის საქმიანობის ორკვირიანი ვადით განსაზღვრის თაობაზე არასამთავრობო სექტორმა უკმაყოფილება გამოთქვა და იმისთვის, რომ საქმეები კარგად იყოს შესწავლილი, ის მხარს უჭერს კომისიის საქმიანობის ვადების გაზრდას.**

**რუსიკო უშიკიშვილი**

საწვავი

# სააკაშვილები და კეზერაშვილი საქართველოში ნავთობის მოპოვებას მიზანმიმართულად ბლოკავდნენ

**1981-83 წლებში საქართველოში ნავთობის მოპოვება 3,3 მილიონ ტონას აღწევდა. 1995 წ. 38 მლნ ტონას, 1997 წ. — 130,5 მლნ ტონას. შემდეგ დაიწყო მოპოვების კლება და ნაციონალების ხელში 2009 წ. — 54 ათას ტონამდე დაეცა.**

გეოლოგია-მინერალოგიის დირექტორის, პროფესორ ზურაბ მგელაძის განმარტებით, საქართველოს აწ უკვე ყოფილ მთავრობაში ამბობდნენ, რომ ჩვენ ნავთობი არა გვაქვს. მაგრამ ეს ასე არ არის. 1990-იანი წლების მიწურულს საერთაშორისო სპეციალისტების გათვლებით, ჩვენთან 2 440 მილიონი ტონის მარაგია. მისი განცხადებით, საქართველო გეოლოგიური აგებულებით მიეკუთვნება ერთდროულად ორ ნავთობშემცველ ტერიტორიას: აღმოსავლეთ შავი ზღვის ოლქს (დასავლეთ საქართველო) და სამხრეთ კავკასიის ნავობგაზიან პროვინციას (აღმოსავლეთ საქართველო), რომელიც აზერბაიჯანის, კასპიის ზღვისა და თურქმენეთის ტერიტორიებს (სულ 900 კმ) მიეკუთვნება. მეცნიერთათვის ცნობილია ნავთობის 1500-ზე მეტი გამოვლინება. განსაკუთრებით დიდია სამგორ-პატარძეულის ნავთობის საბადო, რომელიც, მსოფლიო კლასიფიკაციით დიდ საბადოთა რიცხვს მიეკუთვნება.

მეცნიერი იქვე ხსნის, რომ ბუნებაში ერთეული დაგროვებები არ არსებობს. სადაც ერთი საბადო აღმოჩნდება, აუცილებელია ახალი საბადოების ძებნა-ძიებითი სამუშაოების ჩატარება. ამას კი თანხები, უახლესი ტექნოლოგიები და ისეთი სპეციალიზებული სამსახურის შექმნა სჭირდება, რომლებიც მხოლოდ ნავთობის ძებნა-ძიებითა და საექსპლუატაციო სამუშაოებით იქნება დაკავებული.

ამასთან დაკავშირებით ყოფილი „საქნავთობის“ წამყვანი სპეციალისტი ვახტანგ კოხრეიძე აცხადებს, რომ ნაციონალებს სულაც არ აინტერესებდათ ახალი საბადოების აღმოჩენა, ან თუნდაც ძველთა ნორმალურ მდგომარეობაში მოყვანა. „საქნავთობი“ საერთოდ დახურეს. სახელმწიფოსა თუ უცხოელი ინვესტიციები წყალში ჩაიყარა. ცხადი იყო, რომ მთავრობა იმპორტზე იყო ორიენტირებული.

ქვეყანა, რომელსაც ამხელა ნავთობმარაგი აქვს, მთლიანად იმპორტულ საწვავზეა დამოკიდებული, რომელიც სულ უფრო და უფრო იზრდება. — ამბობს ვ. კოხრეიძე. წლეულს შემოტანილი საწვავი, 2010 წლის ანალოგიურთან შედარებით 27 ათასი ტონით მეტია, გასულ წელთან კი 44 ათასი ტონით მეტი. ეს კი იმაზე მიუთითებს, რომ მოთხოვნაც მეტია. ძირითადი ზრდა მოდის ტურისტებსა და თურქულ გადამზიდ მანქანებზე.

ჩვენში, საინტერესო რამ ხდება: როდესაც მსოფლიო ბაზარზე საწვავის ფასი ეცემა, საქართველოში ძველ ნიშნულზე იყინება. ქართველი ექსპორტიორები ამას ხან მაღალი ფასების დროს დიდი რაოდენობით შემოტანილით ცდილობენ ახსნან, ხანაც — ტრანსპორტირების მაღალი ხარჯებით. მაგრამ მუდმივად უპასუხოდ ტოვებენ კითხვას — როგორ შეიძლება ერთნაირი დანახარჯები ჰქონდეთ ევროპიდან და აზერბაიჯანიდან შემომტანთ?

იხ. 7 გვ.



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

## ხელაობა მღვრიე წყალში

(მეოთხე გვერდიდან) მისი თქმით, ამ საქმესთან დაკავშირებით იგი მთავარ პროკურატურას სთხოვს სისხლის სამართლებრივი დევნა დაიწყოს დამნაშავე პირების მიმართ. ხურციძე მის მიმართ დადგენილი განაჩენის გადახედვას და გამამართლებელი განაჩენის დადგენას ითხოვს და ამასთანავე, მისი მოთხოვნაა, რომ ქუთაისის „ტორპედო“ ისევ დაუბრუნდეს. გარდა ამისა, ადვოკატის თქმით, ხურციძეს იმ პერიოდისათვის საკმაოდ პრესტიჟული ავტომანქანა BMW X5 ჰყავდა, რომელიც მას ჯერ ქუთაისის კუდ-ის უფროსმა, ბაჩო ახალაიას მეგობარმა არჩაიამ წაართვა და არ გამოატანა, სანამ სანაცვლოდ სხვა მოდელის BMW არ მიუყვანა. ხაჭაპურიძის თქმით, ხურციძემ სპეციალურად ამისთვის შეიძინა ეს ავტომობილი და ამის მადასტურებელი დოკუმენტებიც არსებობს. ადვოკატი ამბობს, რომ ხურციძემ ცნობილი ფეხბურთელის ძოძუაშვილის და კიდევ რამდენიმე პირის თანდასწრებით ეს მანქანა არჩაიას ვითომდა საჩუქრად გადასცა.

**„ამ ფაქტიდან დაახლოებით ორი კვირა გავიდა და BMW X5 ხურციძეს უკვე სოდ-ის თანამშრომლებმა წაართვეს. ჩვენთვის დღესაც უცნობია, სად არის ახლა ეს მანქანა და ალბათ, სოდ-ის მაშინდელი უფროსი ბატონი კოდუა, გამოძიებას ამ კითხვებზე პასუხს გასცემს. შესაბამისად, ჩვენ ვითხოვთ გამოძიება დაიწყოს ქუთაისის „ტორპედოს“ ხურციძისთვის ჩამორთმევის ფაქტზე, ასევე მისი უკანონოდ სისხლის სამართლებრივ პასუხისგებაში მიცემასთან და მანქანის ჩამორთმევასთან დაკავშირებით“,** — აღნიშნავს ხაჭაპურიძე.

ამ ყველაფერს იგი იმ პერიოდს ადარებს, როდესაც განსაკუთრებულ საქმეთა გამომძიებლად მუშაობდა და „მხედრიონის“ საქმიანობას იძიებდა. ხაჭაპურიძის თქმით, თუ მაშინ ასეთი გამოძალვები ავტომატის მუქარით ხდებოდა, ახლა ეს ყველაფერი კოსტიუმებში გამოწყობილი ჩინოვნიკების მიერ საწერი კალმითა და ფურცლის, ასევე წინასწარი დაკავების საკნების მეშვეობით ხორციელდება.

**კიდევ ერთი საჩივარი მოქალაქე ძუბა ხვინთელიანის სახელით შევიდა პროკურატურაში. საქმე ეხება პოლიტპატიმარ ბესიკ ხვინთელიანს, პროფესორს, რომელმაც საქართველოში პოლიტიკური საქმიანობა დაიწყო და ამის გამო დააპატიმრეს. შალვა ხაჭაპურიძის განცხადებით, ხვინთელიანის ოჯახს სხვადასხვა ადამიანები უკავშირდებოდნენ და დახმარებას აღუთქვამდნენ. ერთ-ერთი ასეთი შეხვედრის დროს ძუბა ხვინთელიანს (ბესიკ ხვინთელიანის ძმას) ვანო მერაბიშვილის სიმამრი, ალიბეგ სალაყაია გააცნეს, რომელმაც ხვინთელიანს დახმარება აღუთქვა. მან ამისთვის ორი დღე მოითხოვა, რათა თავის სიძესთან ეს საქმე გაერკვია. ორი დღის შემდეგ კი იგი ძუბა ხვინთელიანს დაუკავშირდა და უთხრა, რომ მართალია, მისი ძმა პოლიტიკურ ნიადაგზე იყო დაპატიმრებული, მაგრამ ამ საქმის მოგვარება შესაძლებელი იყო. ხაჭაპურიძის განცხადებით, მერაბიშვილის სიმამრმა ძუბა ხვინთელიანს ვითომდა საპროცესო შეთანხმების გასაფორმებლად 50 000 აშშ დოლარი გამოართვა, რის შემდეგაც ბესიკ ხვინთელიანის მეუღლესთან მისასვლელი გზაც გამოძებნა და მისგან კიდევ დამატებით 10 000 დოლარი წაიღო, მაგრამ ამის შემდეგ იგი ხვინთელიანის ოჯახის წევრებს არც უნახავთ და არც საპროცესო გარიგება გაფორმებულა.** დღეს ძუბა ხვინთელიანი მერაბიშვილის სიმამრის, ალიბეგ სალაყაიას მიმართ სისხლის სამართლის საქმის აღძვრას ითხოვს. აქვე, ადვოკატი ხაჭაპურიძე აცხადებს, რომ ბესიკ ხვინთელიანი ყოველთვის კატეგორიულად წინააღმდეგი იყო მასთან საპროცესო გარიგების გაფორმების და შეწყალებაზეც უარს აცხადებს, რადგან იგი თავს დამნაშავედ არ სცნობს.

## „მერაბიშვილის სიმამრმა პოლიტპატიმრის ოჯახს 60 000 დოლარი გამოსძალა“

**ხაჭაპურიძე კიდევ ერთ უკანონო პატიმარზე, მერაბ რატიშვილზე საუბრობს და ამბობს, რომ იგი სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ პოლიტპატიმრად არის აღიარებული. ამიტომ, ადვოკატი რატიშვილის საქმის გადახედვას და გამამართლებელი განაჩენის დადგენას ითხოვს. ამასთანავე, ხაჭაპურიძე მერაბ რატიშვილისთვის ჩამორთმეული ქონების დაბრუნებას და რამდენიმე მაღალჩინოსნის მიმართ სისხლის სამართლის საქმის აღძვრას ითხოვს. ესენი არიან სოდ-ის მეხუთე სამსახურის უფროსი ნიკა კაპანაძე, გენერალური პროკურატურის პროკურორები ქორიძე, ჩხენკელი, ცნობილაძე, სოდ-ის გამომძიებლები ეჯიბაია, ბარბაქაძე, მესხი, ფაჩულია, გოგიტიშვილი, სხულუხია, ექვთიმიშვილი და ა.შ.** აქვე ხაჭაპურიძე აღნიშნავს, რომ მერაბ რატიშვილის პოზიცია ბესიკ ხვინთელიანის მსგავსად მხოლოდ გამამართლებელი განაჩენით განთავისუფლებაა, რადგან მისთვის მიუღებელია საპროცესო გარიგება, ან სხვა მეთოდები.

შალვა ხაჭაპურიძემ პროკურატურაში შეიტანა საჩივარი 2004 წლიდან 2010 წლის ჩათვლით პოლიციელებისა თუ სხვა ძალოვნების მიერ მოკლულ ადამიანებთან დაკავშირებით და მისი თქმით, ასეთი ასზე მეტია.

**„ამ საჩივრის განხილვის საგანი ისეთი სახელმწიფო პოლიტიკის შეგნებულად განხორციელებაა, რომელიც მუდმივ სისტემატურ, დანაშაულებრივ ხასიათს ატარებდა. ხელისუფლება შეგნებულად და მიზანმიმართულად მოქმედებდა. აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაური და მმართველი პარტიის ბელადი სააკაშვილი პარლამენტს საკუთარ დანაშაულებრივ დავალებებს უკვეთავდა და საკანონმდებლო ხელისუფლება ანტიხალხურ და დანაშაულებრივი ბუნების კანონმდებლობას ღებულობდა, რომლის საფუძველზეც მთავრობა საკუთარი მოქალაქეებისადმი არაადამიანურ მოპყრობას ეწეოდა, ხოლო სასამართლო ხელისუფლება დანაშაულებრივად ემსახურებოდა პოლიტიკურ დირექტივებს და არა სამართალს. ამრიგად, ქვეყანაში შექმნილი იყო ორგანიზებული სახელმწიფო დამნაშავეობის მკაცრად ცენტრალიზებული სისტემა, რომელიც ერთი პირის, მიხეილ სააკაშვილის მიერ იმართებოდა. იმისათვის, რომ ხელისუფლებას საკუთარი დანაშაულები სამოქალაქო საზოგადოების მხრიდან ყოველგვარი ხელის შეშლისა და წინააღმდეგობის გარეშე განეხორციელებინა, მიზანმიმართულად ინერგებოდა პოლიციისათვის განუსაზღვრელი უფლებების მინიჭება, მოსამართლეებისათვის ისეთი კანონის ამოქმედება, რომლის ძალითაც არც ერთი მოსამართლე უკანონო გადაწყვეტილების მიღებისთვის პასუხს არ აგებს, პარლამენტისა და მთავრობის წევრებისათვის ისეთი განუსაზღვრელი თვითნებობის გარემოს შექმნა, რომლის მიხედვითაც ისინი დანაშაულებრივი ქმედების ჩადენისთვის პასუხს არ აგებენ“,** — აცხადებს შალვა ხაჭაპურიძე.

მისი თქმით, რომის სტატუტის მეშვიდე მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, მკვლელობად მიჩნეულია დანაშაული, რომელსაც ხელისუფლება სჩადის ნებისმიერ სამოქალაქო პირზე თავდასხმის სახით, რასაც სისტემატური, ან მსხვილმასშტაბიანი ხასიათი აქვს და ასეთი თავდასხმა შეგნებულად არის ჩადენილი. ადვოკატი აცხადებს, რომ საქართველოს ხელისუფლებას 2004-2010 წლებში ასზე მეტი ასეთი მკვლელობა აქვს ჩადენილი. ამ საქმეებს შორის არის ისეთი ცნობილები, როგორიც არის სანდრო გირგვლიანის, ბუტა რობაქიძის, გიორგი გამცემლიძის, ზურაბ ვაზაგაშვილის, როინ შავაძის მკვლელობები. ამასთანავე, შალვა ხაჭაპურიძე თავის საჩივარში აღწერს კიდევ ასამდე მკვლელობას, რაც პოლიციის თანამშრომლებმა მოქალაქეების დაკავების, სპეცოპერაციების და სხვა ქმედებების დროს ჩაიდინეს. ადვოკატის განცხადებით, ხელისუფლება ამგვარი ქმედებებით საზოგადოებაში შიშისა და გაწუკითხაობის განცდას ამკვიდრებდა და ამ ქმედებებით საერთაშორისო მასშტაბის დანაშაულს სჩადიოდა. ამიტომ, **ადვოკატი ამ ფაქტებთან დაკავშირებით ითხოვს სისხლის სამართლებრივ პასუხისგებაში მიეცნენ საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი და მისი თანამზრახველები, ვანო მერაბიშვილი, ზურაბ ადეიშვილი, დათა ახალაია, ოლეგ მელნიკოვი, გურამ დონაძე, მკვლელობებში მონაწილე პოლიციის თანამშრომლები, სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ბიუროს ექსპერტები, რომლებიც ამ საქმეებზე ყალბ დასკვნებს გასცემდნენ და კიდევ სხვა პირები, რომელთა ვინაობა გამოძიების ეტაპზე გამოიკვეთება.**

**ნინო ჟღენტი**

## ალიან-ჩალიანი

## „ნიუ ენერჯით“ გამოძიება დაინტერესდა

**მთავრობის ივლის-აგვისტოს განკარგულებებით დაგეგმილი საგზაო მონაკვეთების მშენებლობა-რეაბილიტაციის სამუშაოების შესრულების მაჩვენებელი უმრავლეს შემთხვევაში 3-4 %-ია , — ამის შესახებ რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრმა დავით ნარმანიამ გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა.**




მისი თქმით, სამუშაოს შესრულების მაჩვენებელი მხოლოდ ერთეულ შემთხვევაში აღწევს 20%-ს, განსაკუთრებით რთული ვითარება კი „საერთაშორისო მნიშვნელობის გზაზე“, კობი-გუდაურის მონაკვეთზეა.

დავით ნარმანია სამინისტროსა და კომპანია „ნიუ ენერჯის“ თანამშრომლობასა და კომპანიის მიერ საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის საკითხსაც შეეხო. მინისტრის თქმით, „ნიუ ენერჯის“ საქმიანობის შესახებ ანგარიში ფინანსთა სამინისტროს გადაეგზავნება. მისივე თქმით, ცალკეული სამუშაოების ექსპერტიზა მოხდება, დოკუმენტები საგამოძიებო ორგანოებს გადაეგზავნება, ნაწილზე კი ტენდერი გამოცხადდება.

წინა მთავრობის მიერ შესრულებულ სამუშაოებს მინისტრის მოადგილე შოთა მურღულია გამოეხმაურა. მისი თქმით, სამინისტროს მუშაობის 9 თვის მონაცემებით, დაგეგმილი სამუშაოების მხოლოდ 57%-ია შესრულებული. განსაკუთრებით „კატასტროფული ვითარება“ კი მესამე კვარტალშია, როდესაც მურღულიას ცნობით, გეგმა 43%-ით შესრულდა.

ამასთან, მინისტრის პირველმა მოადგილემ თენგიზ შერგელაშვილმა „საეჭვო გარემოებების“ შემცველ საკითხზეც გაამახვილა ყურადღება. მისი თქმით, ქუვეითელ ინვესტორს თელავში 3 წლის განმავლობაში 1 მილიონი ლარის ინვესტიცია უნდა განეხორციელებინა, თუმცა გეგმა შეიცვალა. შერგელაშვილის თქმით, აღნიშნულ საკითხსა და ფინანსების წარმომავლობას პროკურატურა შეისწავლის.

ცნობილი გახდა, რომ კახეთში, სტიქიის სალიკვიდაციო კომისიამ ობიექტების იდენტიფიცირება მოახდინა და უახლოეს მომავალში სარეაბილიტაციო სამუშაოები დაიწყება.

ამასთან, მინისტრის მოადგილის თქმით, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებისა და ექსპერტების მონაწილეობით, მრჩეველთა ჯგუფი შეიქმნება, რომელიც ქვეყნის დეცენტრალიზაციის პროცესში მონაწილეობას მიიღებს. შერგელაშვილის განმარტებით, დეცენტრალიზაციის განხორციელება მთავრობის მყარი კურსია, რომელიც უახლოესი თვეების პრიორიტეტს წარმოადგენს.

## „ტფილისის ჰამქარი“ თბილისის იერსახის შენარჩუნებაზე ზრუნავს

**„ტფილისის ჰამქარი“** თბილისის ისტორიულ ნაწილში მსხვილმასშტაბიან მშენებლობებზე მორატორიუმის გამოცხადებას ითხოვს და ამასთან დაკავშირებით წერილით მიმართავს საქართველოს პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილს, კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრ გურამ ოდიშარიას, განათლების, მეცნიერებისა და კულტურის საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარე ივანე კიღურაძეს.




— საქართველოში, ბოლო ცხრა წლის განმავლობაში, კულტურული მემკვიდრეობის სფეროში განხორციელებულმა პოლიტიკამ წარმოშვა რიგი პრობლემები საკანონმდებლო, ინსტიტუციურ და მმართველობით სფეროში. შექმნილი მდგომარეობიდან გამომდინარე, გადაუდებელ ამოცანად მიგვაჩნია, შემდეგი ღონისძიებების გატარება:

1. თბილისის ისტორიულ ნაწილში დაუყოვნებლივ გამოცხადდეს მორატორიუმი მსხვილმასშტაბიან ახალმშენებლობებზე (რიყის მუსიკალური ცენტრი, საბაგიროს მშენებლობა ვარდების მოედანზე, გუდიაშვილის მოედანი, იმელის შენობა, შავთელის ქუჩა 317...)

2. საქართველოს ძეგლთა დაცვისა და კულტურის სამინისტროსთან შეიქმნას მაღალკვალიფიციური კადრებით დაკომპლექტებული კომისია, რომელიც შეაფასებს იმ ობიექტების, თუ პროექტების მიზანშეწონილობას, რომელთა მიმართ არსებობს მომეტებული საჯარო ინტერესი.

3. დარგის პროფესიონალებთან კონსულტაციების საფუძველზე, კულტურის სამინისტროს მიერ დაწყებულ იქნას მუშაობა კულტურული მემკვიდრეობის შესახებ კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე, რომლის უმთავრესი მიზანიც უნდა იყოს სამინისტროს პასუხისმგებლობისა და ვალდებულების გაზრდა თბილისის ტერიტორიაზე არსებულ ურბანულ და არქიტექტურულ ძეგლებზე.

4. ხელისუფლებამ უზრუნველყოს მასშტაბური პროექტების დამტკიცების წინა ეტაპზე, საჯარო განხილვებისა და დაინტერესებული საზოგადოების ჩართულობის ორგანიზება.

5. მოხდეს თბილისის ისტორიულ-კულტურული საყრდენი გეგმის კორექტირება შემდგომი დამტკიცების მიზნით. აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით, „ტფილისის ჰამქარი“ მზადაა აქტიურად ითანამშრომლოს შესაბამის სტრუქტურებთან, რათა უზრუნველყოფილ იქნას თბილისის კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და შენარჩუნება, — ნათქვამია „ჰამქარის“ წერილში.

**ინტერპრესი**

**საწვავი**

# სააკაშვილები და კეზერაშვილი საქართველოში ნავთობის მოპოვებას მიზანმიმართულად ბლოკავდნენ



**(მესამე გვერდიდან)** ექსპერტ-ეკონომისტ ლევან იზორიას თქმით, დღეს ქვეყნის ნავთობპროდუქტების ბაზარზე მხოლოდ 5 კომპანია დომინირებს, მაშინ როდესაც „ვარდების რევოლუციამდე“ ამ საქმიანობაში 100-მდე კომპანია იყო ჩართული. არსებობდა კონკურენციაც. დღეს ხუთივეს პრეზიდენტის ძმები და კეზერაშვილი კურირებენ.

ამ ხალხს დიდი წილი აქვს „ლუკოილის“ დისტრიბუტორ კომპანია „უნიგრუპში“. ის, რომ „გალფიც“ მისია, არც ყოფილი თავდაცვის მინისტრი უარყოფს. სურათი ნათელია. საქმე გვაქვს კარტელურ შეთანხმებასთან. მისი მონაწილენი ერთად ადგენენ ფასს საწვავზე. მაშ სხვა რით შეიძლება აიხსნას ნავთობპროდუქტებზე ერთსა და იმავე დღეს, ერთსა და იმავე ოდენობით ფასების სისტემატური მატება.

იზორია ასკვნის, რომ დღეს საქართველოში რეგულირდება და კონტროლდება საწვავზე არა მხოლოდ ფასები, არამედ შემოტანის ლიმიტიცა და მარაგიც. ისინი მკაცრად აკონტროლებენ სიტუაციას და არავის აძლევდნენ შესაძლებლობას, ნავთობპროდუქტები მათთან შედარებით დაბალ ფასად შემოიტანონ.

ის, რომ რამდენიმე კომპანიის მიერაა კონტროლირებადი ბაზარი, არ მალავს ნავთობპროდუქტების იმპორტიორ და მომხმარებელთა კავშირის თავმჯდომარე ვანო მთვრალაშვილიც. რომელიც აცხადებს, რომ ქსელურ მსხვილ კომპანიებს 2004 წ. ბაზრის 25-30 პროცენტი ეკავათ და დღეს მათი წილი 70 პროცენტზე მეტია.

ამ შემთხვევაში გაკვირვებას იწვევს „თავისუფალი ვაჭრობისა და კონკრენციის სააგენტოს“ (ანტიმონოპოლიური სამსახური) შექმნის იდეა და დანიშნულება. მით უმეტეს, რომ ექსპერტთა აზრით, ამ უაზრო წარმონაქმნის დებულება და, საერთოდ, კანონი მის შესახებ არა თუ გადასახედი, თავიდანაა დასაწერი.

**როდესაც** ბიზნესმენებთან შეხვედრისას ბიძინა ივანიშვილმა ნავთობპროდუქტის სფეროში დაკავებულთ მოუწოდა, რომ მინიმუმ 20 თეთრით დაეწიათ საწვავზე ფასი, ისინი დაიბნენ. კეზერაშვილის კომპანიის „გალფის“ გაყიდვების სამსახურის ვიცე-პრეზიდენტმა ოთარ ქათამაძემ განაცხადა, რომ 20 თეთრით უცებ გაიაფება ძნელი იქნება, მაგრამ ერთობლივი შეთანხმებით (ალბათ, იგულისხმება კარტელური — **ზ. ბ.**) ეს შესაძლებელია. მანვე აღნიშნა, რომ ივანიშვილის განცხადებაში ბევრი რამ არის რეალური.

ორიოდ დღეში ქათამაძის ნათქვამი უარყო ამავე ფირმის მარკეტინგის მენეჯერმა ლაშა თევზაძემ. მან თქვა, რომ ქათამაძის ნათქვამი არასწორად გაიგეს. და რომ 20 თეთრით გაიაფება ამ ეტაპზე წარმოუდგენელია. ეს შეიძლება იმ შემთხვევაში, თუ შესაბამისი ცვლილებები მოხდება კანონმდებლობაში ან საერთაშორისო ბირჟაზე დაეცემა ნავთობის ფასი (მაგრამ ხომ დაეცა! — **რედ.**).

ის, რომ საქართველოში საწვავის ბაზარზე ოლიგოპოლური სტრუქტურაა ჩამოყალიბებული, რომელიც მოთხოვნის ნაკლები ელასტიკურობით ხასიათდება, რაც ურთიერთჩანაცვლების არარსებობით არის განპირობებული, ნათლად დაადასტურა კომპანია „რომპეტროლის“ მენეჯერის გიორგი ჩაჩხიანის მიერ GLOBAL NEWS-ისთვის მიცემულმა ინტერვიუმ. იგი ამბობს, რომ თუ ბაზარზე მონოპოლია არ იქნება და ჯანსაღი კონკურენციის პირობებში აღმოვჩნდებით, ფასის კლება 2 თეთრით კი არა, 30-ითაც არის შესაძლებელი.

მიუხედავად იმისა, რომ საერთაშორისო ბაზარზე ბოლო ორ კვირაში საწვავი 124 დოლარით გაიაფდა, ჩვენებურები ფასს მაინც არ შეელიენ. მას შემდეგ რაც „ქართულმა ოცნებამ“ გააკეთა განცხადება კარტელური გარიგებების თაობაზე, რაც ნაციონალურმა მოძრაობამ უმალ ბიზნესმენებზე ზეწოლად შეაფასა, ფასებმა 2-5 თეთრით დაიწია, მაგრამ — აქაც მოჩვენებით. გაიაფდა დიზელი და მაღალი ოქტანობის ბენზინი. „რეგულარი“ ხელუხლებელი დატოვეს. არადა, ჩვენი მძღოლები თითქმის 70 პროცენტი სწორედ ამ მარკას მოიხმარს.

„ქართულ ოცნებაში“ თვლიან, რომ ხელისუფლების სრულფასოვნად გადაბარება არსებული მონოპოლიებს დაანგრევს და ყველას კონკურენტულ გარემოს შეუქმნას.

**პროფესორ** ზურაბ მგელაძის გათვლებით, თავისი პოტენციური რესურსის 40-50 პროცენტის მოპოვების შემთხვევაშიც კი ქვეყანა რამდენიმე მილიარდ დოლარს სუფთა მოგებას მიიღებდა. ის, რომ ჩვენ მხოლოდ იმპორტულ საწვავზე ვართ დამოკიდებული, იწვევს ქვეყნიდან მილიარდობით დოლარის გადინებას. ჩვენ რომ საკუთარი ნავთობიდან ვაწარმოებდეთ საწვავს, მაშინ უცხოეთში გამავალი თანხები ისევ საქართველოში დაბრუნდებოდა. სასაქონლო ნაწარმის ღირებულება ნედლ ნავთობთან შედარებით, 2,5-ჯერ გაიზრდება, დაიწევს ბენზინის ფასი და ტრანსპორტირების დაწევის ხარჯზე — ყველა სხვა პროდუქტის თვითღირებულება.

ქვეყანას, რომელსაც აქვს თავისი ენერგორესურსი, შეუძლია უზრუნველყოს ენერგოუსაფრთხოება, ხელი შეუწყოს ეკონომიკის განვითარებასა და ქვეყნის დამოუკიდებლობის განმტკიცებას, — აცხადებს სპეციალისტი ნავთობპროდუქტების საკითხებში ვახტანგ კოხრეიძე. იქვე დასძენს: ტაშ-ფანდურსა და საზღვარგარეთულ ვოიაჟებში დახარჯული ფული რომ რესურსების მოპოვებაში ჩაედოთ სააკაშვილსა და მის ხროვას, ქვეყანას უდიდესი მოგება დარჩებოდა და, რაც მთავარია, დასაქმდებოდა ხალხი, სპეციალისტები, რომელთა დიდი ნაწილი ამჟამად აზერბაიჯანშია და თავისი პროფესიით მუშაობს.

სწორედ მიზანმიმართულად მოახდინა ხელისუფლებამ მოძიება-დაძებნითი სამუშაოების ბლოკირება. სააკაშვილმა ქვეყნის ინტერესები საკუთარი და ახლობლების ჯიბეს ანაცვალა. დღეს რევანშისათვის იბრძვიან, ხედავენ რომ წილებს კარგავენ. თუნდაც ამ ბოროტებისათვის არიან სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისაცემნი, აღფოთებას ვერ მალავს ჩვენთან მოსაუბრე.

**ზაზა ბილიხოძე**

**ეკონომიკა**

# საით გაქანდება საგადასახადო საქანელა?

**კოალიცია „ქართული ოცნების“ ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვებისა და ხელისუფლების სათავეში მოსვლის შემდეგ სულ ცოტა ხანია გასული, მთავრობის მუშაობას, ჯერჯერობით, სასურველი ინერცია არ აუკრეფავს, თუმცა რამდენიმე საგულისხმო წინადადება უკვე გახდა პარლამენტისა და საზოგადოებრიობის განსჯის საგანი, რაც, თავისთავად, მისასალმებელია.**

ერთი ასეთი გახლავთ მოსახლეობის უკიდურესად გაჭირვებული ფენისთვის, ანუ მათი, ვისი წლიური შემოსავალი 6 ათას ლარს არ აღემატება, 20-პროცენტიანი საშემოსავლო გადასახადის გადახდისგან გათავისუფლება. როგორც განაცხადეს, სახელმწიფო ბიუჯეტი ამათ ბევრი არაფრით იზარალებს, სოციალურად ყველაზე ნაკლებად დაულხენილი მოსახლეობისთვის და მცირე შემოსავლის მქონე პირთათვის კი, ვინც შრომის ანაზღაურებას თვეში 500 ლარზე ნაკლები ოდენობით იღებს, საგრძნობი შეღავათი იქნება.

ამდენად, რაც შეეხება ქვეყანაში საგადასახადო წნეხის შემცირების სოციალურ ასპექტს, ამ მხრივ მეტ-ნაკლებად ყველაფერი ნათელია, მაგრამ ეროვნული ეკონომიკის აშკარად არასაკმარისი განვითარების პირობებში, მით უმეტეს ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისის მოსალოდნელი მეორე, პირველზე გაცილებით უფრო ძლიერი ტალღის მოლოდინში, ბოლომდე გაურკვეველია, თუ როგორი იქნება მთავრობის პოლიტიკა ეკონომიკისა და სოფლის მეურნეობის სფეროებში.

იმის თქმის შესაძლებლობას, რომ მსოფლიოში ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისის მეორე ტალღა, ფაქტობრივად, გარდუვალია, მსოფლიოს წამყვანი ეკონომისტების, მათ შორის ნობელის პრემიის ლაურეატის ნურიელ რუბინის განცხადება გვაძლევს, რომელმაც 2008 წლის კრიზისი იწინასწარმეტყველა, და ჩინელი ლარი ლანგის პროგნოზები გვაძლევს, რომელთა აზრით, მსოფლიო ეკონომიკას „იდეალური შტორმი ელის, რომელიც ჩინეთიდან მოვა“.

საქმე ის არის, რომ ჩინეთის ვალი თითქმის სამჯერ მეტია, ვიდრე ევროპის ყველა ქვეყნის ერთად აღებული. ამასთან, ყველაზე პარადოქსული გარემოება ისაა, რომ ჩინეთს სხვისი კი არა, საკუთარი თავის ვალი აქვს, რის შესახებ 2010 წლამდე ხმას არავინ არ იღებდა, ბოლოს კი ციფრი 1,7 ტრილიონი გააჟღერეს, თუმცა ლარი ლანგი სხვა მონაცემებს — 6 ტრილიონ დოლარს, ხოლო ამერიკის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო სულაც 10,7 ტრილიონ დოლარს ასახელებს! ჩინეთი კი, ქვეყანაში კომუნისტური მმართველობის მიუხედავად, მსოფლიო კაპიტალისტური სისტემის ბურჯია. ათწლეულების განმავლობაში იქ წინა პლანზე მთავარი იყო მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) ზრდა. მშპ-ს ზრდის უზრუნველყოფა კი ყველაზე იოლია მშენებლობის მეშვეობით, რადგან მასში ჩადებული ვალუტის ერთეული მომიჯნავე დარგებში 7-9 ლარად „ბრუნდება“!

ხომ არაფერს გაგონებთ საქართველოს უახლესი ისტორიიდან ეს „ჩინური ფოკუსი“, პატივცემულო მკითხველო? ყველას კარგად გვახსოვს, დარწმუნებულები ვართ, ცენტრალური გზების, ათასი საჭირო და უფრო მეტად სრულიად არასაჭირო გრანდიოზული შენობა-ნაგებობის, მისტიკური ქალაქების თუ ციხე-დარბაზების და ა.შ. მშენებლობა-რეკონსტრუქციის წამოყენებისა და შემდგომ საზეიმო გახსნების გაუთავებელი კარუსელი, რომლის შედეგად ქვეყნის მმართველი ელიტის პიარი მიმდინარეობდა, მეორე მხრივ, მშპ-ც იზრდებოდა და ეკონომიკური ზრდაც „თვალნათლივ“ დასანახი.

ახალი ხელისუფლება ერთბაშად უამრავი სასწრაფოდ გადაუჭრელი პრობლემის წინაშე დადგა, რომელთაგან აბსოლუტური უმრავლესობა, დარწმუნებული ვართ, ხელოვნურად შექმნილი არ არის, მაგრამ, სხვადასხვა სახის სამოქალაქო პროტესტის სინქრონულობას თუ გავითვალისწინებთ, რომელიც, მართალია, წინა წლებშიც კი ხდებოდა, მაგრამ ძალიან იშვიათად და, ბევრმა მაპატიოს, უფრო კნავილს ჰგავდა, ვიდრე განრისხებული ხალხის ბრდღვინვას, იმის სავსებით საფუძვლიანი ეჭვის აღძვრის საფუძველს იძლევა, რომ პროცესებს აშკარად ქვეყნის არაკეთილმოსურნე ხალხი მართავს. ამ პირობებში კი, როცა ერთიანად აქამდე ყველა უსახლკარო ლტოლვილი, ავტობუსის მძღოლი, მაღაროელი, ნავსადგურის მომუშავე, პედაგოგი თუ ენერგეტიკის სფეროს მუშაკი ერთიანად სამუშაო პირობების გაუმჯობესებასა და ხელფასების მყისიერ მომატებას ითხოვს, რომელ ეკონომიკურ წინსვლაზე შეიძლება იყოს ლაპარაკი? ან კი, ნუთუ არ ფიქრობს თავად ეს ხალხი, რომ სახელმწიფო ბიუჯეტს ერთბაშად ამდენი ფულის გაცემის არანაირი საშუალება არ აქვს, თუ „ფულის საბეჭდ დაზგას“ არ ჩართავს, რაც უმალ ჰიპერინფლაციას გამოიწვევს, რასაც ისევ ხელფასების მოთხოვნა უნდა მოყვეს...

ამასთან, ეჭვი არ არის, რომ ქვეყანაში შექმნილი უმძიმესი სოციალური ფონის გამოსაკეთებლად უზარმაზარი ფინანსური და მატერიალური სახსრები სჭირდება, რომელთა მისაღებად ეკონომიკას რეალურად და არა ქაღალდზე წინსვლა სჭირდება. ამის განხორციელება კი სხვადასხვანაირად, მათ შორის პოტენციურ ინვესტორთათვის მაქსიმალური ხელშეწყობის რეჟიმის, საბანკო კრედიტებზე განაკვეთების კორექტირება, საგადასახადო და შრომის კოდექსებში სათანადო შესწორებათა შეტანა, გადასახადების სისტემის ხედვა და სხვა ღონისძიებათა გატარებაა საჭირო.

ამასთან დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ გადასახადებთან დაკავშირებით (იგულისხმება, ცხადია, ეკონომიკური სუბიექტები), ბოლო წლების ტენდენციების გათვალისწინებით, ეკონომისტების ვარაუდია მათი მოსალოდნელი გაზრდა. ამის მკაფიო მაგალითია, ვთქვათ, საფრანგეთი, სადაც ახალმა ხელისუფლებამ მათთვის, ვინც წელიწადში მილიონ ევროზე მეტ შემოსავალს იღებს, 70-პროცენტიანი საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრა შემოიღო. ამასთან, აღსანიშნავია, რომ დასავლეთის ქვეყნებში ადრეც და ამჟამადაც ექსპერტები აქტიურად ილაშქრებენ გადასახადების გაზრდის წინააღმდეგ, რასაც „ეკონომიკური წარმატების“ დასჯას უწოდებენ და ეს, ფაქტობრივად, ასეც გამოდის. თანაც იმასაც თუ გავითვალისწინებთ, რომ ბევრს გადასახადების მაღალი განაკვეთები ეკონომიკური ზრდის შემაფერხებელ გარემოებათ განიხილავენ, მათი პოზიცია კიდევ უფრო მეტად გამყარებული ჩანს. თუმცა, ეკონომისტები არა მარტო ჩვენში, არამედ არც დასავლეთში, არც აღმოსავლეთში აღნიშნულ საკითხზე ჯერჯერობით ვერ შეთანხმებულან, ვინაიდან მაღალი გადასახადების წნეხისა და ეკონომიკური ზრდის ტემპის ურთიერთობა ჯერაც გაურკვეველია.

თუ რა გზას დაადგებიან ამ საკითხში ახალი ხელისუფლების ეკონომიკური გუნდის წარმომადგენლები, რა მიმართულებით გაქანდება საგადასახადო საქანელა, ეს ახლო მომავალში გამოჩნდება.

**ოთარ ტურაბელიძე**



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

## რა ვქნათ?

# მცირე და დიდი ჰესების მავნე ზეგავლენის შესახებ



**ოთხშაბათს უნდა განეხილა საქართველოს სააპელაციო სასამართლოს გარემოს დამცველი არასამთავრობო ორგანიზაცია „მწვანე ალტერნატივის“ საჩივარი. ორგანიზაციამ გარემოს დაცვის სამინისტროს უჩივლა. საჩივარი ეხება გარემოს დაცვის მინისტრის ბრძანებას, რომელიც დარიალის ხეობაში ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის ნებართვას, ეკოლოგიური ექსპერტიზის დადებით დასკვნას წარმოადგენს. „მწვანე ალტერნატივას“ მიაჩნია, რომ დარიალის ჰესის მშენებლობა დაიწყო და მიმდინარეობს უკანონოდ.** 2011 წლის სექტემბერში დაიწყო მდინარე თერგზე ამ ჰესის მშენებლობა, 110 მეგავატი სიმძლავრის ელექტროსადგურის აგება დარიალის ხეობაში, რომელიც თავისი განუმეორებელი ლანდშაფტური და ისტორიულ-კულტურული მნიშვნელობით უნიკალურია. ჰესის მშენებლობა შეუქცევად გავლენას მოახდენს მდინარე თერგზე, მასზე დამოკიდებულ სახეობებზე, მათ შორის, დაცულ ნაკადულის კალმახზე. 7 ნოემბრის ეს სასამართლო პროცესი გადაიდო. „მწვანე ალტერნატივის“ წარმომადგენელი ქეთი გუჯარაიძე, ორგანიზაციის პოლიტიკის ანალიტიკოსი, ამბობს, რომ დარიალის ჰესი ერთადერთი პრობლემა არ არის:

**„დარიალთან ერთად არის სხვა ჰესები, რომლებიც ითვალისწინებენ დიდი ტერიტორიის დატბორვას. ეს არის ხუდონჰესი, — აღდგა ამ პროექტზე მსჯელობა და, ასე ვთქვათ, წინ მიიწევს ეს პროექტი, — ასევე ნამახვანის ჰესების კასკადი“.**

ჩანს, რომ პრობლემა არამხოლოდ ზოგადად ჰესია. ეს პრობლემა, გარემოს დაცვის გაგებით, ორად იყოფა. ჩვენი თანამოსაუბრე გვიამბობს, რომ ერთია ჰესები, რომლებიც მოითხოვენ დიდი ტერიტორიების დატბორვას, და სხვაა პატარა ჰესები, რომლებსაც ერთნაირად აშენებენ ყველგან, ყველა მდინარეზე:

**„ერთიანი მიდგომაა გამოყენებული, 90 პროცენტის დერივაცია, მდინარის გადაგდება კალაპოტიდან და ათი პროცენტის დატოვება მდინარეში... რატომღაც ჩამოყალიბდა ასეთი მიდგომა დერივაციული ჰესების მიმართ, რომ მაქსიმალური მოგების მისაღებად ინვესტორებს ნებას რთავენ, რომ მდინარეები მაქსიმალურად გამოიყენონ“,** — გვითხრა ქეთი გუჯარაიძემ.

ჩვენ ამ პრობლემატიკაზე ვესაუბრეთ გერმანელ ექსპერტს, ზებასტიან შიონაუერს, რომელიც ბუნების დაცვის კავშირის ბავარიის ორგანიზაციის ხელმძღვანელის მოადგილეა და, ამავე დროს, ფედერალურ დონეზე ექსპერტად მუშაობს. მცირე ჰესებზე საუბრისას ის ამბობს, ასე გამომუშავებულ ელექტროენერგიას, „სისხლიან დენს“ უწოდებენ, რადგან ტურბინებით დიდი რაოდენობის თევზი ისპობაო. გერმანელი ექსპერტის თქმით, გერმანიაშიც ძალიან ჭირს განახლებადი ენერგიების ბუმის პერიოდში ხელისუფლებასთან ბრძოლა ბუნების დასაცავად, მაგრამ „დავემუქრეთ მთავრობას, ევროკომისიაში საჩივრის შეტანით და ახლა ის უფრო ყურადღებიანი გახდაო“. შიონაუერი მცირე ჰესების კარგად ორგანიზებულ ლობიზე ლაპარაკობს: **„ეს მცირე ჰესების ევროპის მასშტაბით მოქმედი კარგად ორგანიზებული ლობია. ესენი არიან მცირე მანქანათმშენებლები და ელექტროინჟინრები, რომლებიც ერთმანეთთან შეკავშირდნენ და მოახერხეს კანონმდებლობაშიც კი მიეღწიათ „მუხრუჭების შესუსტებისთვის“.**

**დარიალის ხეობა არის განსაკუთრებით გამორჩეული. მას აქვს ასევე კულტურული დატვირთვა, მაგრამ, გარდა ამისა, ეს ტერიტორია გამორჩეულია ბიომრავალფეროვნებით. და სწორედ ამიტომ დაარსდა აქ თავის დროზე ყაზბეგის ეროვნული პარკი,** — ამბობს ქეთი გუჯარაიძე

შიოაუერი ბავარიის მაგალითზე განგვიმარტავს, რომ გერმანიის ამ მხარეში ოთხი ათასზე მეტი ელექტროსადგურია და მათი მხოლოდ ძალიან მცირე ნაწილი იძლევა ენერგიას. ორასს აღემატება დიდი ჰესების ოდენობა, დანარჩენები მცირე ჰესებია, „ეს ხუთიდან ას კილოვატამდე სიმძლავრის მცირე ჰესები სპობენ ნაკადულებს და პატარა მდინარეებს, ხდება მათი დაგუბება, ნადგურდება თევზი და შესაბამისი ფირმები კიდევ ფულს იღებენ, რადგან, კანონმდებლობით, მათ, როგორც განახლებადი ენერგიის დანადგარებს, სუბსიდია ეკუთვნით“, გვიამბობს გერმანელი ეკოლოგი და ასე გვიპასუხებს შეკითხვაზე, რას იძლევა ეს ჰესები, რამდენ ენერგიას გამოიმუშავებენ ისინი: **„ისინი ელექტროენერგიას გამოიმუშავებენ, მაგრამ იმდენად მცირეს, რომ სასაცილოა მისი გათვალისწინება. ბავარიის ოთხი ათასი მცირე ჰესი ბავარიაში მოხმარებული ელექტროენერგიის მხოლოდ ხუთ მეასედ პროცენტს იძლევა, მაგრამ 4000-ჯერ ძლიერი უარყოფითი ზემოქმედება აქვს. შესაბამისად, გერმანიის გარემოს დაცვის ყველა უწყება, ბუნების დაცვის უწყება, მეცნიერები, ყველანი ამბობენ: მცირე ჰესები დავივიწყოთ, არ შეიძლება მათ იმუშაონო“.**

თანამოსაუბრე გვიკონკრეტებს, რატომ არის არარენტაბელური მცირე ჰესი: **„ამ მცირე დანადგარების აგება, სუბსიდიების, დახმარების გარეშე, არ არის მომგებიანი. გერმანიაში ხუთი-ექვსი წელიწადი ამუშავებენ მათ და შემდეგ, როცა განახლება თუ შეკეთებაა საჭირო, ამას ხელს არ ჰკიდებენ, რადგან ითვლება, რომ მოგება უფრო ნაკლებია, ვიდრე განახლება დაჯდებოდა“.**

მინდა გაგაცნოთ დარიალის ჰესის დეტალები. პროექტი მოდის ქართულ-ამერიკული ფირმისგან, მისი დამფუძნებელია შპს „ფერი“. ვინ აშენებს და რა ვითარებაში გაიცა ნებართვა? გუჯარაიძე განმარტავს:

**„დარიალის ჰესის მშენებლობაზე დაიდო ხელშეკრულება საქართველოს მთავრობასა და „დარიალი ენერჯის“ შორის და, აი, ამ ხელშეკრულების საფუძველზე ხორციელდება ეს პროექტი. როცა ხელშეკრულება დაიდო, ის საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი არ ყოფილა. როცა „დარიალი ენერჯიმ“ დაიწყო საპროექტო გადაწყვეტაზე მუშაობა და კონკრეტული დოკუმენტაცია მოამზადა ეკონომიკის და გარემოს დაცვის სამინისტროში წარსადგენად, ამ ეტაპზე გავიგეთ ჩვენ ამ ჰესის, ამ პროექტის არსებობის შესახებ“.**

ქეთი გუჯარაიძე ამბობს, რომ დასკვნა არის მშენებლობის სანებართვო დოკუმენტი, რომელსაც სამინისტრო იძლევა და ეს დასკვნა გაიცა ისე, რომ დამოუკიდებელ ექსპერტებს შესაძლებლობა არ მიეცათ თავიანთი აზრი გამოეთქვათ.

თანამოსაუბრის თანახმად, იშვიათია, რომ გარემოსდაცვითი ექსპერტიზა ხარისხიანი იყოს, მაგრამ სამინისტროს ეს არ უშლიდა ხელს, გაეცა დადებითი დასკვნა მშენებლობის შესახებ. ეს კომპლექსური პრობლემაა. ის ლაპარაკობს არა მხოლოდ დასკვნის უკანონობაზე. თვითონ პროექტის შინაარსია ისეთი, რომ ის ბუნების დაცვის ორგანიზაციის პროტესტის ობიექტი გახდა:

**„ჩვენ ვაპროტესტებთ პროექტის შინაარსსაც. დარიალის ხეობა არის განსაკუთრებით გამორჩეული. მას აქვს ასევე კულტურული დატვირთვა, მაგრამ, გარდა ამისა, ეს ტერიტორია გამორჩეულია ბიომრავალფეროვნებით. და სწორედ ამიტომ დაარსდა აქ თავის დროზე ყაზბეგის ეროვნული პარკი. ძალიან ცუდი პრეცედენტი შეიქმნა, როცა ჰესის საჭიროებისთვის იქნა ამოღებული გარკვეული ტერიტორია ყაზბეგის ეროვნული პარკის შემადგენლობიდან“.**



როცა მშენებლობის ნებართვა უკვე გაცემული იყო, ამბობს ქეთი გუჯარაიძე, ენერგეტიკის სამინისტრომ პოსტფაქტუმ შეიტანა პარლამენტში კანონპროექტი და ჰესის მშენებლობის ტერიტორია ამოიღეს ეროვნული პარკის საზღვრებიდან, რითაც საკანონმდებლო ორგანო კანონდარღვევის მონაწილე გახდა: **„კიდევ იყო ერთი უკანონობა გარემოს დაცვის სამინისტროს მიერ ჩადენილი, ვინაიდან საქართველოს კანონმდებლობა კრძალავს დაცული ტერიტორიების, ეროვნული პარკების ფარგლებში ჰესის მშენებლობას. და როცა გარემოს დაცვის სამინისტრომ გასცა ნებართვა დარიალის ჰესის მშენებლობაზე, ის ტერიტორია, რომელიც შემდეგ ამოიღეს, ჯერ კიდევ ეროვნული პარკის შემადგენლობაში იყო. ასე რომ, თვითონ გარემოს დაცვის სამინისტრომ დაარღვია კანონი“.**

კიდევ ერთი კონკრეტული ზიანი ბუნებისთვის: **„პროექტი ითვალისწინებს თერგის გადაგდებას სადერივაციო მილში და შემდეგ გვირაბში დაახლოებით რვა კილომეტრზე. მთლიანად დარიალის ხეობა არის 11 კილომეტრის სიგრძის და აქედან რვა კილომეტრზე თერგი აღარ დარჩება, ხეობაში დარჩება მხოლოდ წყლის ათი პროცენტი. ხევში, ყაზბეგში, საკმაოდ ცივი ზამთარი იცის და ასეთი მცირე რაოდენობის წყლის დატოვებით შეიძლება თერგი გაიყინოს. ეს თავისთავად აისახება ბიოლოგიურ მრავალფეროვნებაზე“.**

დიდია თანმდევი ზარალი, რადგან, მართალია, დიდი ჰესები თავიდან მომგებიანია, მაგრამ შემდეგ ბუნებას, გარემოს, მიწათმოქმედებას დიდი ზარალი ადგება. იქ, სადაც მდინარეებს აგუბებენ, ერთ ნაპირზე ტენიანობა იზრდება, მეორეზე კი გვალვა ჩნდება, — აზუსტებს ზებასტიან შიონაუერი

სულ მოკლედ დიდი ჰესების შესახებ მინდა გითხრათ. ჩვენმა თანამოსაუბრემ ზებასტიან შიონაუერმა, გერმანიის ბუნების დაცვის კავშირის ბავარიის ორგანიზაციის ხელმძღვანელის მოადგილემ, გარემოს დაცვის ექსპერტმა, გვითხრა, რომ გერმანიაში ყველა დიდი ჰესის განახლება ხდება იმის გამო, რომ ისინი ბუნებისთვის ნაკლებ საზიანოა. და ეს ხერხდება, ვინაიდან დიდი ჰესები მომგებიანია და მათში ინვესტიცია ღირს. მაგრამ დიდი ჰესები დიდი ზარალის მომტანია მოგვიანებით. ექსპერტს ეგვიპტის, ასუანის კაშხლის მაგალითი მოჰყავს:

**„დიდია თანმდევი ზარალი, რადგან, მართალია, დიდი ჰესები თავიდან მომგებიანია, მაგრამ შემდეგ ბუნებას, გარემოს, მიწათმოქმედებას დიდი ზარალი ადგება. იქ, სადაც მდინარეებს აგუბებენ, ერთ ნაპირზე ტენიანობა იზრდება, მეორეზე კი გვალვა ჩნდება. ეგვიპტე, მაგალითად, ადრე საკუთარ თავს მარცვლეულით უზრუნველყოფდა, ახლა კი პირიქითაა — 70 პროცენტის შეტანა უწევს“.**

გერმანელი ექსპერტი გერმანიის მაგალითსაც იშველიებს: ადრე, გერმანელებისთვის ცილით მდიდარი საკვების მოპოვების მესამედი მდინარეებზე მოდიოდა, ახლა კი ჰესების გამრავლებამ მოსპო მტკნარი წყლის თევზიო. საქართველოში, სადაც ჯერ ჰესების მშენებლობის ნებართვის კანონიერებაა დასადგენი, შემდეგ — საკუთრივ პროექტების სამართლიანობა, შესაძლებელია, რომ სამართალდამცავებს ბუნების დაცვის სფეროშიც გაუჩნდეთ სერიოზული საქმე.

**ოქროპირ რუხაძე,**
**რადიო „თავისუფლება“**

## დედამიწის ზურგზე



**კაცობრიობა თაყვანდება, თანაც უკვე დიდი ხანია, დაადასტურეს მეცნიერებმა სტენფორდიდან**

ნახტომი ინტელექტის განვითარებაში მოხდა ჯერ კიდევ ჩვენს წინაპრებში და მას შემდეგ ადამიანის გონებრივი უნარი თანდათან ქვეითდება. ამ დონეზე გავლენას ახდენს გენური მუტაციები და რაც მეტია ისინი, მით უფრო ჩერჩეტია ხალხი. ადრე ბუნებრივი შერჩევის პროცესში სიცოცხლეს ინარჩუნებდნენ ყველაზე გონიერები, ახლა ურბანიზაცია და კომფორტი საშუალებას არ იძლევა მოვიკვეთოთ მავნე მუტაციები. გადარჩენა მაღალ ტექნოლოგიებს შეუძლია.

* * *

**დიდმა ადრონულმა კოლაიდერმა დაადასტურა სტანდარტული მოდელი, სუპერსიმეტრიების თეორია „გაუშვა სასაფლაოზე“**



ბი-ეს-მეზონი იშლება ნიუონებად, მაგრამ სამი ათმილიარდიანი სიხშირით, აჩვენა გამოკვლევამ. ასეთი შედეგი იწინასწარმეტყველა სტანდარტულმა მოდელმა და იგი, ფაქტობრივად, უარყოფს „ახალი ფიზიკის“ პოსტულატებს. „სუპერსიმეტრია, როგორც თეორია, არ მომკვდარა, მაგრამ იგი მძიმედ არის ავად“, — დაასკვნეს მეცნიერებმა.

* * *

**კომპიუტერული ანტივირუსის McAFee შემქმნელზე გამოცხადებულია ძებნა მკვლელობის საქმის გამო**



ერთი მონაცემებით, ჯონ მაკაფიზე ეჭვი აქვთ, რომ მან ჩაიდინა მკვლელობა კუნძულ ამბერგრის-კაიეზე, სხვა ვერსიით — ჯერჯერობით არა, მაგრამ ზუსტად არის ცნობილი, რომ იგი ეჩხუბებოდა გრეგორი ფოლს იმის წინ, სანამ ეს უკანასკნელი დაიღუპებოდა. კომპიუტერული უსაფრთხოების დამცველებს ადრე უკვე ჰქონდათ ეჭვი იარაღის უკანონო შენახვასა და ნარკოტიკების წარმოებაზე. ადგილობრივი მცხოვრებლები საუბრობენ მის კავშირზე ბელიზას ბანდიტებთან.

* * *

**11 სექტემბრის ტერორისტული აქტის სულისჩამდგმელი კვლავ გაათავისუფლეს გირაოთი დიდ ბრიტანეთში**

საიმიგრაციო აპელაციების სპეციალურმა კომისიამ დაადგინა გაათავისუფლონ ადრე დაპატიმრებული რადიკალური ისლამისტური მქადაგებელი აბუ კაკადუ. ისლამისტის გადაცემას, რომელიც დაუსწრებლად იქნა მიჩნეული დამნაშავედ, ცდილობს იორდანია. ბრიტანეთის მთავრობამ ზემოხსენებული კომისიის გადაწყვეტილებას „ფარსი“ უწოდა.





PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

# როდის ეყოლება საქართველოს თავისი ნობელიანტი?

გასული ოქტომბერი მეცნიერებისათვის სადღესასწაულო თვე იყო. ყოველი წლის ოქტომბერში ანიჭებენ ნობელის პრემიებს და ასეა 1901 წლიდან. აი, უკვე 111-ჯერ ნობელის პრემიის ლაურეატები გახდნენ მეცნიერები ამერიკის შეერთებული შტატებიდან (აშშ), დიდი ბრიტანეთიდან, საფრანგეთიდან, იაპონიიდან... დღემდე მსოფლიოში ამ ყველაზე პრესტიჟული პრემიის 900-მდე ლაურეატი დაგროვდა, მაგრამ აი, მათ შორის ჯერ კიდევ არც ერთი მეცნიერი არ არის საქართველოდან. რატომ ხდება ასე და რა უნდა გაკეთდეს, რათა სიტუაცია შეიცვალოს?

იქნებ მიზეზი ის არის, რომ ყოველწუთიერ და სადღეისო საზრუნავებსა და საქმეებში რაღაც გაგვეპარა? იქნებ დაგვავიწყდა, რომ ერს განათლებისა და მეცნიერების გარეშე აღარ აქვს მომავალი? ან იქნებ იმის იმედზე ყოფნა ვირჩიეთ, როგორც ეს ხშირად ხდება, რომ ჩვენ მაგიერ ვიღაც სხვა შეასრულებს ამ არც თუ იოლ სამუშაოს, ჩვენ კი მხოლოდ გამორჩენა დაგვრჩება? ან იქნებ არ გვყავს ჩვენი ნიუტონები და აინშტაინები, არ გაგვაჩნია მეცნიერული სკოლების სამამულო ტრადიციები, არ გვქონია და არ მოგვეპოვება მიღწევები ადამიანური მოღვაწეობის ამ სფეროში? მაშინ რა ვუყოთ ჩვენი ქვეყნის ისტორიას, სადაც მხოლოდ ერთი საუკუნის განმავლობაში იღვწოდნენ დიდი მეცნიერები, რომლებმაც მსოფლიო მეცნიერებაში ახალი მიმართულებები და ბრწყინვალე მეცნიერული სკოლები შექმნეს? მათგან მხოლოდ რამდენიმეს დასახელებაც იკმარებს: ისტორიკოსების — დ. ბაქრაძის, ი. ჯავახიშვილის, ნ. ბერძენიშვილის, გ.მელიქიშვილის; მათემატიკოსების — ნ. მუსხელიშვილის, ი. ვეკუას, ა, ბიწაძის; ფილოლოგების — ა. შანიძის, ა. ჩიქობავას, გ. ახვლედიანის, კ. კეკელიძის; ფილოსოფოსების — შ. ნუცუბიძის, მ. მამარდაშვილის; ფიზიკოსების — ე. ანდრონიკაშვილის, ა.თავხელიძის; ფიზიოლოგ ი. ბერიტაშვილის, ასტრონომ ე. ხარაძის, ფსიქოლოგ დ. უზნაძის... შეგნებულად არ ვასახელებთ ამჟამად ცოცხალ და ნაყოფიერად მოღვაწე ქართველ მეცნიერებს.

იქნებ უკანასკნელი 20 წლის არც თუ ყოველთვის ეფექტიანი და მრავალრიცხოვანი რეფორმების მსვლელობაში ნაბან წყალს ბავშვიც გადავაყოლეთ? სწორედ ასე მოხდა, თუ ყურადღებით და აუჩქმებლად შევხედავთ იმას, რაც უკანასკნელ ათწლეულში დამართა მეცნიერებას და მის ძირითად ორგანოს — საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიას — ახალგაზრდა რეფორმატორების იმ გუნდმა, რომელიც თითქმის დღევანდლამდე „გზამკვლეობდა“ ჩვენს მრავალტანჯულ ქვეყანას.

ყველაფერი, როგორც ყოველთვის, საუკეთესო განზრახვებით იწყებოდა: მეცნიერების განათლებასთან მაქსიმალური დაახლოებით ის უნდა გაკეთებულიყო, რომ ჩვენი ქვეყნის საუკეთესო მოაზროვნენი მეცნიერებათა აკადემიის მრავალრიცხოვანი ინსტიტუტებიდან სამუშაოდ მოსულიყვნენ უნივერსიტეტებში, სკოლებში, სასწავლებლებში, რათა შემცირებულიყო გარღვევა თეორიასა და პრაქტიკას შორის, ამაღლებულიყო ზოგადი და უმაღლესი განათლების ხარისხი. გადაწყვიტეს უარი ეთქვათ მეცნიერებათა აკადემიების საუკუნეობით ჩამოყალიბებულ ევროპულ გამოცდილებაზე და გამოეყენებინათ ანგლო-საქსური გამოცდილება, რომელმაც თავი ისახელა თავისი ისეთი კვლევითი უნივერსიტეტებით, როგორებითაც არის სახელგანთქმული აშშ.

მაინც რა გამოვიდა? მეცნიერების რეორგანიზაციამ ჯერ მეცნიერებათა აკადემიის მთელი სისტემის დეზორგანიზაცია გამოიწვია, ხოლო შემდეგ — მისი თითქმის მთლიანი დანგრევა და დანიავება. რაც შეეხება სამეცნიერო კადრებს, ახალგაზრდების ნაწილი წავიდა არა უნივერსიტეტებსა და, მით უმეტეს, სკოლებში, არამედ ბიზნესში, ვაჭრობაში, ანუ იქ, სადაც უკეთ და მეტს უხდიან. ბევრმა საერთოდ დატოვა ქვეყანა და ახლა შედეგიანად შრომობს სხვა სახელმწიფოების საკეთილდღეოდ. რად გადაიქცა ჩვენი მეცნიერებათა ეროვნული აკადემია? დამსახურებული ასაკის ადამიანების მცირე გაერთიანებად, რომელთაგან ყველაზე ახალგაზრდას უკვე შეუსრულდა 65 წელი, რომელიც არ ახლდება და არ ახალგაზრდავდება ახალი წევრების მიღებით (უცხოელების გამოკლებით), რომელიც არაქმედითუნარიანია, რომელსაც არანაირი გავლენა არა აქვს მეცნიერების განვითარებაზე: არც მორალური (რადგან მეცნიერის სოციალური სტატუსი დღეს მნიშვნელოვნად ჩამორჩება, მაგალითად, პოლიციელის, ან ავტომობილების გაყიდვის მენეჯერის სტატუსს), არც მატერიალური, რადგან წართმეული აქვს მატერიალური ბაზა — ინსტიტუტები და ლაბორატორიები, განიავებულია ძვირფასი დანადგარები და მოწყობილობები, კვლევებისათვის არ გამოიყოფა სახსრები სახელმწიფო ბიუჯეტიდან და ამის შედეგად მკვლევარს ხელფასი დიდი ტანჯვით აქვს მოპოვებული და ისიც უცხოური გრანტის ხარჯზე. ვერ იძებნება ფული იმ რეფორმებისათვისაც, რომლებსაც ახორციელებს სახელმწიფო ან რომელთა განხორციელებაც მოუწევს და სადაც საჭიროა უპირველესად თანამემამულე მეცნიერმკვლევართა და მაღალკვალიფიკაციურ სპეციალისტთა დამოუკიდებელი და პროფესიული რჩევები, ანუ ის, რითაც უნდა იყვნენ და არის კიდევაც დაკავებული, პრაქტიკულად მეცნიერებათა აკადემიების უმრავლესობა მთელს მსოფლიოში.

როგორღაა საქმეები იმ ქვეყნების მეცნიერებათა აკადემიებში, რომელთა მოქალაქენი გახდნენ და ხდებიან ნობელის პრემიის ლაურეატები? მაგალითისათვის ავიღოთ საფრანგეთი, ქვეყანა, რომელიც ცნობილია მეცნიერებისა და მისი კადრებისადმი სათუთი დამოკიდებულებითა და პატივისცემით. ამ ქვეყანაში პრაქტიკულად არის განხორციელებული ევროპული და ანგლო-საქსური სისტემების სიმბიოზი: აქ არსებობს და ნორმალურად ფუნქციონირებს, მათ შორის ურთიერთმოქმედებს მრავალრიცხოვანი მეცნიერებათა აკადემია მთავარი აკადემიის — საფრანგეთის ინსტიტუტის (Institut de France) მეთაურობით, რომელიც შედგება 40 „უკვდავი“ აკადემიკოსისაგან (რომლებიც მაინც იცვლებიან სიკვდილის შემდეგ). საფრანგეთის ინსტიტუტი წარმოადგენს სიცოცხლისა და კულტურის ყველა სფეროს — საბუნებისმეტყველო მეცნიერებით დაწყებულს და მოდითა და პოლიტიკით დამთავრებულს. მათი და ათასობით სხვა მეცნიერის პრაქტიკული მუშაობა მიმდინარეობს მეცნიერული კვლევების ნაციონალური ცენტრის (CNRS) მრავალრიცხოვანი კვლევითი ლაბორატორიების ბაზაზე.



ეს უკანასკნელნი გაერთიანებული არიან ინსტიტუტებად, ხოლო CNRS-ის ზოგიერთი ლაბორატორია მიმაგრებულია უნივერსიტეტებთან და მათ ბაზაზე ფუნქციონირებს. სიტყვამ მოიტანა და აშშ-ის მაგალითზე უნდა აღინიშნოს, რომ ისეთ კვლევით უნივერსიტეტებთან ერთად, როგორებიცაა ჰარვარდი, იელი, მასაჩუსეტსის ტექნოლოგიური ინსტიტუტი, 1863 წლიდან არსებობს და წარმატებით მუშაობს მსოფლიოში უმსხვილესი მეცნიერებათა ეროვნული აკადემია (US National Academy of Sciences) თავისი 2000 წევრით, რომელთაგან 200 ნობელის პრემიის ლაურეატია. თუმცა ყველას შეუძლია საბუთიანად შეგვეპასუხოს, რომ აშშ და საფრანგეთი დიდი, მსოფლიო სახელმწიფოებია, ხოლო საქართველო პატარა ქვეყანაა, შეზღუდული ადამიანური და მატერიალური რესურსებით. თანაც ისტორიებიც სხვადასხვანაირი გვაქვს. მაშინ მოდით, ვნახოთ როგორაა საქმე მსგავსი პარამეტრების მქონე ქვეყნებში, ასევე ჩვენს მეზობლებთან, რომლებთანაც მხოლოდ გეოგრაფია კი არ გვაერთიანებს, არამედ საერთო ისტორიული წარსულიც.

ნობელის პრემიების მიმნიჭებელი კომიტეტი მუშაობს ნორვეგიაში. ეს ქვეყანა საქართველოს ჩამოჰგავს მრავალი მახასიათებლით. მისი მოსახლეობა 4,5 მილიონია, აქვს ზღვა, მთები, ჰყავს შესანიშნავი სპორტსმენები — მოთხილამურეები და მოციგურავეები. ნორვეგიელების დამოკიდებულებას განათლებისა და მეცნიერებისადმი შეიძლება ეწოდოს სანიმუშო-საჩვენებელი და ამას სწორედ ასე აღიქვამენ კიდევაც ევროპაში. ევროპელები მიიჩნევენ, რომ ნორვეგიაში მიღწეულია მოსახლეობის განათლებისა და აკადემიური მოსწრების მაღალი დონე. ამ ქვეყანაში განათლების სისტემის ჩამოყალიბება დაიწყო ჯერ კიდევ XII საუკუნეში. სახელმწიფო ყოველწლიურად განათლებაზე ხარჯავს მთლიანი შიდა პროდუქტის 6,6% ( ევროკავშირის ქვეყნებისათვის დადგენილი ნორმაა 3% ).

საყოველთაო დაწყებითი და პირველი საფეხურის (lower) საშუალო განათლება უფასოა ყველა ახალგაზრდისათვის 6-დან 16 წლამდე. ნორვეგიაში განათლებას ყოველწლიურად იღებს 900 ათასი ახალგაზრდა, 16 წლის შემდეგ 58% განაგრძობს სამწლიან სწავლას საშუალო სკოლის უმაღლეს საფეხურზე (upper secondary school), ხოლო 25% — უნივერსიტეტებსა და უნივერსიტეტების კოლეჯებში. 1947 წელს შექმნილი საგანმანათლებლო კრედიტის ფონდის (Educational Loan Foundation) წყალობით უნივერსიტეტის 195 ათასიდან 143 ათას სტუდენტს, უმაღლესი განათლების უფასოდ მიღების საშუალება აქვს, ხოლო 14 ათასი სტუდენტი იღებს ფინანსირებას სწავლის სრული ციკლის გასავლელად უცხოეთში ( სხვათა შორის, ეს მსოფლიოს საშუალო მაჩვენებელზე მეტია). ნორვეგიის განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ შექმნა პროგრამები, რომლებიც მიმართულია პედაგოგიური და მეცნიერული კადრების კვალიფიკაციის მუდმივ ამაღლებაზე (მაგალითად, პროგრამა „კომპეტენცია განვითარებისათვის“). პროგრამა „ცოდნათა მხარდაჭერა“ (Knowledge Promotion) მოწოდებულია სასწავლო პროცესში ახალი ინფორმაციული ტექნოლოგიების ყოველმხრივ დანერგვაზე.

საზოგადოების მაქსიმალური ჩართულობისათვის სკოლის მართვის საკითხებში განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან შექმნილია დამოუკიდებელი ორგანო — დაწყებითი და საშუალო სკოლების მოსწავლეების მშობელთა ეროვნული კომიტეტი.

მეცნიერებას აფინანსებს ნორვეგიის კვლევითი საბჭო (Research Council). ნორვეგიაში განსაზღვრულია მეცნიერების განვითარების მიზნობრივი მხარეები — ისინი, რომელთა განვითარებასაც უკავშირებს ქვეყანა თავის მომავალს. ესაა საზღვაო კვლევები, ენერგია და კლიმატი, მედიცინა და ჯანდაცვა, საკვები, უახლესი ინფორმაციული ტექნოლოგიები, ბიოტექნოლოგია, ახალი მასალები და ნანოტექნოლოგია. ეს პრიორიტეტული მხარეები სახელმწიფო ფინანსირების მნიშვნელოვან წილს იღებენ. 2010 წლიდან შექმნილია და ფუნქციონირებს უმაღლესი ხარისხის 21 ცენტრი (Centre of Excellence), რომელთა მიზანია ნორვეგიაში უცხოელ მეცნიერთა მიზიდვა მეცნიერების მსოფლიო დონის მიღწევისათვის.

რეფორმების ტალღა ყველა ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიას შეეხო, მაგრამ სადღაც განახლება მიიტანა და მომავალი აყვავების საწინდრად იქცა, მაგალითად, როგორც ბალტიის ქვეყნებში. ზოგ ქვეყანაში, მაგალითად, უკრაინასა და აზერბაიჯანში, მეტ-ნაკლებად შენარჩუნებულია ძირითადი სტრუქტურები და მეცნიერთა და მკვლევართა მნიშვნელოვანი ნაწილი, ხოლო ზოგან, როგორც საქართველოში, ჭეშმარიტ ცუნამად იქცა, რომელიც ყველაფერს სპობს და ანადგურებს თავის გზაზე.

აზერბაიჯანის აკადემია შედგება 5 განყოფილებისაგან და მოიცავს 34 კვლევით ინსტიტუტს, ასევე ასტროფიზიკურ ობსერვატორიას, დენდრარიუმს, სამ ლიტერატურულ მუზეუმს, საცდელ ქარხანას ნავთობქიმიის სფეროში.

უკრაინის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის, აკადემიკოს ბორის პატონის წყალობით შექმნილია და წარმატებით ფუნქციონირებს მეცნიერებათა აკადემიების საერთაშორისო ასოციაცია (IAAS), რომლის წევრებიც არიან ყოფილი სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიები.

ბალტიისპირეთის ქვეყნების მეცნიერებათა აკადემიები ევროკავშირის ბევრი ქვეყნის გზას გაჰყვნენ. ასე, მაგალითად, ლატვიის მეცნიერებათა აკადემია თავისი სახელოვანი ისტორიით, რომელიც 1815 წელს მიტავაში ლიტერატურისა და ხელოვნების საზოგადოების შექმნით იწყება, დღეს აერთიანებს საბუნებისმეტყველო, საინჟინრო, სოციალური და ჰუმანიტარული მეცნიერებების 300 მეცნიერს. ლატვიის მეცნიერებათა აკადემიის არსებობას სახელმწიფო აფინანსებს და ინახავს.

ჩვენ მშვენივრად გვესმის და სრულიად ვუწევთ ანგარიშს საკუთარ თავს იმაში, რომ ცხოვრებაში შეუძლებელია წარსულში დაბრუნება, ანუ როგორც ძველები ამბობდნენ, ორჯერ შესვლა ერთსა და იმავე მდინარეში. ჩვენ საბჭოთა კავშირისაგან განსხვავებულ დროსა და ქვეყანაში ვცხოვრობთ, თავისუფალ საქართველოში, ეკონომიკაში საბაზრო ურთიერთობების ქვეყანაში. ჩვენ არ უნდა მივისწრაფოდეთ იმის გაუცნობიერებელი აღდგენისაკენ, რაც წარსულს ჩაბარდა. მაგრამ ჩვენი ვალია ყველაფრის გაკეთება ქართული მეცნიერების აღორძინებისათვის, უფრო მეტიც, მის მიერ ახალი მსოფლიო დონის აღმოჩენების მიღწევისათვის, ცოდნის ახალი თეორიებისა და სისტემების შექმნისათვის. მაშინ ქართული მეცნიერება ჩვენს ეკონომიკას დაეხმარება მდგრადი განვითარების რელსებზე დადგომასა და მთელი ჩვენი ხალხის უკეთ და უფრო ღირსეულად ცხოვრებაში.

სასურველია, რომ ქართული ოცნების და, მაშასადამე, XXI საუკუნის ქართული რეალობის ნაწილი გახდეს მეცნიერებისა და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აღორძინება. შეიძლება იქიდან დაწყება, საიდანაც იწყება თანამედროვე მეცნიერული აზრისა და საქართველოს ახალი ისტორია — მისი ისტორიიდან და გეოგრაფიიდან „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“, რომელიც დაწერილია მისი ერთ-ერთი დიდი შვილისა და მეცნიერის ვახუშტი ბაგრატიონის მიერ.

XVIII საუკუნეში შექმნილი ეს გამოკვლევა იძლევა საქართველოში შემავალი ყველა მიწის დეტალურ ანალიზს — აფხაზეთიდან კახეთამდე, ასევე ამ მიწებზე მოსახლე ხალხების აღწერა-დახასიათებას. ესაა, ამავდროულად, ფასდაუდებელი და უნიკალური ენციკლოპედიური ნაშრომი ჩვენი ქვეყნის ფლორისა და ფაუნის, მისი სოფლის მეურნეობის, ეთნოგრაფიის, ქალაქებისა და ცალკეული კუთხეების შესახებ. სხვათა შორის, დროა ხელახლა გამოვცეთ ეს ნაშრომი, რადგან ის სრული სახით უკანასკნელად გამოიცა 1941 წელს დიდი სამამულო ომის დაწყებამდე ახლო ხანებში. ამასთან, საქართველოს განახლებულ მეცნიერებათა აკადემიას შეიძლებოდა მიკუთვნებოდა ვახუშტი ბაგრატიონის სახელი.

ისტორია და გეოგრაფია შესაძლებელია გამხდარიყო აკადემიის სასაფუძვლო სტრუქტურული ერთეული, თუნდაც იმიტომ, რომ ცოდნის ეს ორი სფერო აუცილებელია უპირველესად ჩვენთვის, საკუთარი თავის, როგორც ხალხად, ერად გასაცნობიერებლად სამყაროში. როგორც საზოგადოებასა და ერს უკიდურესად აუცილებლად გვჭირდება კიდევ ორი განყოფილება. ესაა ფილოსოფია და მორალი და ლიტერატურა და ხელოვნება. ხოლო თუ ამ სამ განყოფილებას კიდევ სამი დაემატება: მეცნიერებები სიცოცხლის შესახებ ( ბიოლოგია, ზოოლოგია, ფიზიოლოგია და მედიცინა), საბუნებისმეტყველო და საინჟინრო მეცნიერებები და მათემატიკა და ინფორმატიკა, მაშინ ჩამოგვიყალიბდება მწყობრი სისტემა. თუ ამ სისტემას ექნება ხელშემწყობი მართვისა და ფინანსირების თანამედროვე ინფრასტრუქტურა, ყველა ამ ცვლილებების შედეგი იქნება მეცნიერების ეფექტიანობის ამაღლება და სამეცნიერო შრომის ხელშესახები შედეგი, აი, მაშინ გაჩნდება სწორედ ქართველი მეცნიერის ნობელის პრემიაზე წარდგენის იმედი.

მოდით, ერთად ვიფიქროთ, როგორ ვაქციოთ ეს ოცნება რეალობად! საქართველოს პრემიერ-მინისტრის ბიძინა ივანიშვილის ინიციატივით საქართველოში განათლებისა და მეცნიერების რეფორმის სახელმწიფო კომისიის შექმნასთან ერთად გაჩნდა სიტუაციის უკეთესობისაკენ შემობრუნების იმედი.

და მაინც, არ შეგვეშინდება გამეორებისა და ვიტყვით, რომ ესაა ჩვენი საერთო საქმე, მთელი ქართველი საზოგადოებისა და ხალხის საქმე. სწორედ ამიტომ ამ სტატიის დასკვნის სახით მკითხველს რამდენიმე საკითხზე ერთად ფიქრისათვის ვიწვევთ:

რომელი პრიორიტეტული სამეცნიერო მიმართულებები სჭირდება დღევანდელ საქართველოს?

როგორი სტრუქტურები და რესურსებია საჭირო ამ სამეცნიერო მიმართულებების უზრუნველსაყოფად?

სჭირდება კი საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, როგორც ქართული მეცნიერების მთავარი მაკოორდინირებელი ორგანო?

როგორ უნდა შევინარჩუნოთ მრავალი წლის განმავლობაში დაგროვილი რესურსები (ადამიანი, ცოდნა, ინფორმაცია, ტექნიკა ..)?

მთლიანი შიდა პროდუქტის რა პროცენტი უნდა გამოყოს სახელმწიფომ ყოველწლიურად მეცნიერებისათვის?

როგორ გავუწიოთ ორგანიზება გრძელვადიან პროგნოზირებასა და სტაბილურ დაფინანსებას ისეთი პრობლემების მოგვარებისათვის, რომლებზეც დამოკიდებულია ადამიანის არსებობა და ბიოსფეროს შენარჩუნება საქართველოში?

როგორი უნდა იყოს მეცნიერების კავშირი განათლებასთან და როგორ უნდა იყოს ორგანიზებული მეცნიერული კვლევების სტიმულირება უნივერსიტეტებში?

ვისთვის ვამზადებთ, უპირველეს ყოვლისა, უმაღლესი განათლების მქონე ახალგაზრდებს — საკუთარი ქვეყნისათვის თუ საზღვარგარეთისათვის?

**გოჩა ჩოგოვაძე,**
პროფესორი, იუნესკოს გენერალური დირექტორის მრჩეველი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი, ევროპის მეცნიერებათა და ხელოვნებათა აკადემიის წევრი;

**დიმიტრი ბერიძე,**
სოლიდარული განვითარების საერთაშორისო აკადემიის წევრი-დამფუძნებელი (საფრანგეთი).

პარიზი, 2012 წლის ნოემბერი



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◉ საქმემან შენმან...

# მართლაც კადრები წყვეტენ ყველაფერს



**სიმართლე გითხრათ, ახალდანიშნულ მინისტრთან შეხვედრაზე რამდენიმე კვირის განმავლობაში ვითრევდი ფეხს. არ გეგონოთ, თვითონ პასიურობდა. უბრალოდ, მე თვითონ ჩავთვალე საჭიროდ, რომ მისთვის სულის მოთქმის, ახალ ამპლუასთან გაშინაურებისა და კონკრეტული პასუხების დაგროვების საშუალება მიმეცა.**

**რამდენად მოხერხდა ეს, შემოთავაზებული ინტერვიუდან შეიტყობთ, ერთი რამ კი ამთავითვე მიუკიბ-მოუკიბავად უნდა ითქვას: სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრი ისევ ისეთ გულგახსნილ, ალალ ინტელიგენტად რჩება, როგორსაც აქამდე ვიცნობდი.**

**რა გასაკვირია — ის ხომ ლევან დავითის ძე ყიფიანია!**

**— იქნებ ახალი ხელმძღვანელობის უმთავრესი პრიორიტეტები გაგვაცნოთ.**

— უპირველესად, ჩვენი პრიორიტეტი სპორტის დეპოლიტიზირება გახლავთ. რომ არ ხდებოდეს ზეწოლები და ჩარევები, დაე, სპორტულმა საზოგადოებამ თავს მოხვეული წნეხის გარეშე აირჩიოს კონკრეტული ფედერაციების ხელმძღვანელები.

**— კადრების შერჩევის თქვენეული პრინციპი: პროფესიონალიზმი თუ პარტიული სიმპათიები?**

— კადრების შერჩევის პრინციპი უნდა ეფუძნებოდეს პროფესიონალიზმს, ავტორიტეტულობას და პატიოსნებას. ეს გახლავთ ჩემი შეხედულება.

**— საინტერესოა თქვენი დამოკიდებულება მანდატურებისადმი. უნდა დარჩნენ თუ არა ისინი სასწავლო დაწესებულებებში, მაგალითად, ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიაში, რომლის აღდგენაც უკვე გადაწყვეტილია?**

— განათლების მინისტრმა აღნიშნა მანდატურებთან დაკავშირებით, რომ არ აუქმებს მათ, უბრალოდ, უცვლის ფუნქციას და დანიშნულებას (აცილებს პოლიტიკურ დავალებებს).

**— როგორია მინისტრის პოზიცია 2014 წლის სოჭის ზამთრის ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობის შესახებ, ზოგადად სპორტისა და პოლიტიკის თაობაზე?**

— სოჭის ოლიმპიურ თამაშებს რაც შეეხება, ჩვენ არ უნდა დავაზარალოთ ქვეყნის იმიჯი და უნდა დავიცვათ სპორტული პრინციპები, რომელსაც გვთავაზობენ საერთაშორისო სპორტული ორგანიზაციები. ისინი თანხვედრაში უნდა იყოს სახელმწიფოს პოლიტიკურ პრიორიტეტებთან.

**— როგორ ფიქრობთ, უნდა მოხდეს თუ არა იმ სპორტსმენთა ლუსტრაცია, რომლებიც ზონდერჯგუფების წევრები იყვნენ და დარბევებში მონაწილეობდნენ?**

— ეს ჯგუფები უკვე ლუსტრირებულია საზოგადოების მხრიდან, მაგრამ ჩვენ იმასაც უნდა მივაღწიოთ, რომ გავმიჯნოთ ერთმანეთისგან შეცდომაში შეყვანილნი და დამნაშავენი. მესმის, რომ ეს რთული პროცესია, თუმცა იმის შანსიცაა, მათ შეიგნონ, რომ ქვეყნის აღმშენებლობაში ჩაბმა უპირველესი მოვალეობაა.

**— როგორი იქნება სპორტის არაოლიმპიურ სახეობათა მიმართ დამოკიდებულება და მათი დაფინანსება მომავალი წლის ბიუჯეტში?**

— მოგახსენებთ, რომ ჩვენი სამინისტროს ვალდებულება ქვეყანაში სპორტის განვითარების ხელშეწყობაა. ის ფორმა, რომელიც არსებობდა — სამინისტროს სპონსორად გამოყენება — ამიერიდან შეიცვლება. ჩვენ უნდა გადავიდეთ სახელმწიფოს მხრიდან დაფინანსების პროგრამულ და გრძელვადიან მოდელზე, რომელიც არსებობს ევროპაში.

ჩვენ ძველი ბიუჯეტი დაგვხვდა, რომელშიც მცირედ კორექტივებს თუ შევიტანთ, ამიტომ მომავალი წელი ჩვენი სამინისტროსთვის გარდამავალი იქნება.

**— როგორ გესახებათ მედიასთან თანამშრომლობა და საჭიროა თუ არა სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციასთან ერთად სეზონის ბოლოს დაჯილდოების ტრადიციის აღდგენა?**

— მედიასთან თანამშრომლობა იქნება მჭიდრო და აქტიური, ჩვენ ვიქნებით ღია და ტრანსპარენტული. რაც შეეხება ასოციაციასთან ურთიერთობას, მზად ვართ, ვითანამშრომლოთ ყველა იმ ორგანიზაციასთან, რომელიც ხელს შეუწყობს ქვეყანაში სპორტის განვითარებას, ხოლო მის ფარგლებს გარეთ მისი იმიჯის ამაღლებას. მოკლედ, ყველა კარგი ტრადიციის აღდგენა განხილვადია.

**— განსაკუთრებით საინტერესოა თქვენი, როგორც „ჩვენი ფეხბურთის“ დამფუძნებლის მიერ ფეხბურთის ფედერაციის მოღვაწეობის უკანასკნელი პერიოდის შეფასება და, ზოგადად, უნდა ერეოდეს თუ არა და როგორი დოზით სახელმწიფო ცალკეულ ფედერაციათა საქმიანობაში.**

— ეს ყბადაღებული თემაა. სახელმწიფო კი არ უნდა ერეოდეს, არამედ თანამშრომლობდეს სფფ-სთან, თუმცა ჩვენ ვნახეთ ზეწოლის ფორმები, რითაც სპორტის ავტორიტეტი შეილახა.

ჩვენი სამინისტრო მხოლოდ თანამშრომლობით შემოიფარგლება ურთიერთობებისას, რომლის მითითებები რეკომენდაციული ხასიათის იქნება.

**— უკვე გაჟღერდა ახალი მთავრობის უარყოფითი დამოკიდებულება კაზინოების მიმართ. როგორ მიგაჩნიათ, ხომ არ მოვიდა დრო, ასეთივე პოზიცია გამოიხატოს ტოტალიზატორთა შესახებაც, რადგან საფუძვლიანია ვარაუდი, რომ თვით სპორტსმენებიც აქტიურად არიან ჩაბმულნი ფსონების დადებაში.**

— არა მგონია, მთავრობას უკვე გამოეხატოს თავისი პოზიცია ამ მნიშვნელოვანი საკითხის შესახებ. ყოველ შემთხვევაში, მე აღნიშნულის თაობაზე არაფერი მსმენია.

**— უკვე რამდენიმე წელია, საქართველოს საუკეთესო გუნდები აღარ მონაწილეობენ ფეხბურთში დსთ-ის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშებაში. რამდენად მართებულად მიგაჩნიათ ასეთი ურაპატრიოტული ფორმით ბოიკოტის გამოცხადება და უნდა გადაიხედოს თუ არა ასეთი მიდგომა საკითხისადმი.**

— ჩვენი მთავარი მიზანია, არ დაირღვეს სპორტული პრინციპები. სპორტს ბოიკოტები არ უხდება, ასეთი მიდგომები უკვე შეიცვალა მსოფლიოში.

**— ხომ არ არის გათვალისწინებული სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს სტრუქტურაში რაიმე რეფორმის განხორციელება და, თუ პასუხი დადებითია, იქნებ დაგვიკონკრეტოთ, რას ითვალისწინებს სიახლე.**

— რა თქმა უნდა, გათვალისწინებული გვაქვს სტრუქტურული ცვლილებების განხორციელება, მაგრამ ეს არ იქნება კარდინალური ცვლილებები. ყველაფერი მალევე გახდება საზოგადოებისთვის ცნობილი.

**— მოგეხსენებათ, მრავალი ჩვენი თანამემამულეა გადახვეწილი ლუკმა-პურის საშოვნელად, მათ შორის ლეგენდარული ვიქტორ სანეევი ავსტრალიაში. როგორ უნდა დავიბრუნოთ ისინი, თუ სათანადო სურვილი ექნებათ?**

— ჩვენი დიდი სურვილია, ვითანამშრომლოთ ყველა იმ ადამიანთან, ვინც მოწოდებულია და აქვს სათანადო სურვილი, ჩაებას ქართული სპორტის განვითარებაში. ამ მხრივ ჩვენ ვდგამთ პირველ ნაბიჯებს. ჩემი ერთ-ერთი მოადგილე იქნება ჩვენი ცნობილი მორაგბე გია რაფავა, რომელიც სამშობლოში ინგლისიდან ბრუნდება. მიშა ყაველაშვილიც მზადაა დაბრუნდეს შვეიცარიიდან. თუ ბატონი ვიქტორი ჩამობრძანდება საქართველოში, ეს იქნება საოცარი საჩუქარი ჩვენი ქვეყნისათვის. მეტიც, მზად ვარ პირადად მოვიპატიჟო საქართველოში. დანარჩენი მასზე იქნება დამოკიდებული.

ესაუბრა
**გია პლატონიშვილი**
**ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.**

**სადარბაზო ბარათი**

**დაბადების თარიღი: 6 სექტემბერი, 1971**
**ოჯახური მდგომარეობა: დაოჯახებული**

**სამუშაო გამოცდილება**

**2012 — საზოგადოებრივი მოძრაობა „ქართული ოცნების“ სპორტის თემატური ჯგუფის ხელმძღვანელი;**
**2010 — საქართველოს სპორტული არბიტრაჟი; დამფუძნებელი;**
**2008 — კავშირი „ჩვენი ფეხბურთი“, დამფუძნებელი;**
**2002-2005 — საფეხბურთო კლუბი „ლოკომოტივი“ თბილისი; გენერალური მენეჯერი, მმართველი დირექტორი. დ. ყიფიანის სახელობის თასის მფლობელი (2005);**
**2005 — საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია, გამგეობის წევრი;**
**2005 — საქართველოს პროფესიული საფეხბურთო ლიგა, დირექტორთა საბჭოს წევრი;**
**2001 — დავით ყიფიანის საერთაშორისო ფონდი — პრეზიდენტი;**
**1999 — 2000 საქართველოს ფუტზალის ეროვნული ნაკრები — მწვრთნელი;**
**1999 — ბავშვთა და ჭაბუკთა საფეხბურთო ლიგა; პროექტის ავტორი;**
**1998 — საქართველოს მინი-ფეხბურთის (ფუტზალის) ასოციაცია; დამფუძნებელი;**
**1997 — 2001 საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია, ბავშვთა და ჭაბუკთა ფეხბურთის კომიტეტის თავმჯდომარე;**
**1997 — საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდი „ფეხბურთი ბავშვებს“, ვიცე-პრეზიდენტი;**
**1997 — საფეხბურთო სკოლა „ირაო“, დამფუძნებელი;**
**1996 — 1997 №35 საფეხბურთო სკოლა, თბილისი — მწვრთნელი;**
**1996 - 1997 საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია, UEFA-ს B კატეგორიის მწვრთნელი.**

**სპორტული გამოცდილება**

**1993 — 1995 სკ „დინამო“ თბილისი;**
**საქართველოს ჩემპიონი, საქართველოს თასის მფლობელი;**
**1992 —1993 სკ „ვორმაცია“, გერმანია;**
**1990 —1992 სკ „შევარდენი-1906“ თბილისი;**
**„1990-1991 წლების სეზონის საუკეთესო გოლის“ პრიზის მფლობელი;**
**1988 — 1990 სკ „დინამო“ თბილისი;**
**სსრკ ჩემპიონატი (დუბლები);**
**1987 — სსრკ ხალხთა სპარტაკიადა, საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები (III ადგილი).**

**განათლება**

**1988-1993 თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი; სამართალმცოდნეობის ფაკულტეტი; სპეციალობა — იურისტი;**
**ენები: ქართული, რუსული, ინგლისური.**

◉ ჭადრაკი

## ვამბობთ ერთს, ვგულისხმობთ ოთხს

**რუსეთის ქალაქ ხანტი-მანსიისკში მიმდინარეობს მსოფლიოს ჩემპიონატი ჭადრაკში, სადაც ოთხი ქართველი გოგონა მონაწილეობს. პირველი ეტაპი დაძლია ნინო ხურციძემ, ხოლო ბელა ხოტენაშვილი, სოფო ხუხაშვილი და ლელა ჯავახიშვილი მეტოქეებს დაუზავდნენ და მათ ტაიბრეიკში დაუპირისპირდებიან.**

ნინო ხურციძემ (2428) პირველ რაუნდში ბერძენ ელენა დემბოსთან შეხვედრაში (2454) 1,5:0,5 გამარჯვებას მიაღწია — პირველი პარტია შავი ფიგურებით ჩაატარა და დემბოს ყაიმზე შეუთანხმდა, საპასუხო პარტიაში კი თეთრი ფიგურებით სძლია.



ბელა ხოტენაშვილი (2504) შედარებით დაბალრეიტინგიან კუბელ მარიცა რობაინას (2273) შეხვდა და თეთრი ფიგურებით დამაჯერებლად აჯობა, თუმც შემდეგ შავებით წააგო, რაც მოულოდნელობად ჩაითვალა და ახლა მეტოქესთან ტაიბრეიკში გადათამაშება მოუწევს.

ასევე ტაიბრეიკში არიან გასულნი ლელა ჯავახიშვილი (2455) და სოფო ხუხაშვილი (2383), თუმც ისინი შედარებით მაღალრეიტინგიან მეტოქეებს ხვდებოდნენ — სომეხ ელენა დანიელიანს (2476) და უკრაინელ ანასტასია ბონდარიუკს (2415), მათთან შავებით წაგებული ჰქონდათ, ხოლო თეთრებით რევანშის აღება მოახერხეს.

**გიორგი შოთაძე**

◉ კალათბურთი

## ეს სანიკიძეა!

**ვიქტორ სანიკიძის „მონტეპასკიმ“ იტალიის ჩემპიონატის მე-7 ტურში მე-5 გამარჯვება იზეიმა.**

**გასულ შეხვედრაში სიენელები „რომას“ ესტუმრნენ და მნიშვნელოვანი მოგება მიითვალეს — 81:70.**

სანიკიძე სასტარტო ხუთეულში იყო და წარმატებაში ღირსეული წვლილი დაიდო. ვიქტორმა 27 წუთს ითამაშა და ორმაგ დუბლამდე ერთადერთი მოხსნა დააკლდა. ქართველმა ფორვარდმა 7-დან 4 ორქულიანი და 2-ვე საჯარიმო ჩააგდო, სამქულიანი ააცილა და 10 ქულას 9 მოხსნა (5 შეტევაში) წაამატა.



◉ სიტყვის კაცი

# მინისტრმა პირობა შეასრულა და ვიქტორ სანეევი საქართველოში მოიწვია



**საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრ — ლევან ყიფიანსა და ოლიმპიური თამაშების 3-გზის ჩემპიონ (მეხიკო 1968, მიუნჰენი 1972, მონრეალი 1976), საქართველოს მე-20 საუკუნის საუკეთესო სპორტსმენად დასახელებულ მძლეოსან — ვიქტორ სანეევს შორის სატელეფონო საუბარი შედგა.**

მინისტრმა ავსტრალიაში, ემიგრაციაში მყოფ ვიქტორ სანეევს სამომავლოდ მჭიდრო ურთიერთობების დამყარება და საქართველოში ჩამოსვლა შესთავაზა. ვიქტორ სანეევმა მინისტრის შეთავაზება მიიღო. ტიტულოვანი ქართველი მძლეოსანი საქართველოში ვიზიტს 2013 წლის დასაწყისში გეგმავს.

**ვიქტორ სანეევის დოსიე**

დაიბადა 03.10.1945, სოხუმში. მძლეოსნობა, სამხტომი. სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი (1968, მეხიკო — 17,39 მ; 1972, მიუნხენი — 17,35 მ; 1976, მონრეალი — 17,29 მ) და მეორე პრიზიორი (1980, მოსკოვი — 17,24 მ), ევროპის ზამთრისა და ზაფხულის ჩემპიონატების რვაგზის გამარჯვებული (1969-72, 74-77) და ორგზის მეორე პრიზიორი (1971,78), სსრკ ექვსგზის ჩემპიონი (1968-70, 73-74, 78) და მეორე პრიზიორი (1967), სსრკ ხალხთა V (1971) და VI (1975) სპარტაკიადების ჩემპიონი, ევროპის თასის ოთხგზის მფლობელი (1970, 73-75), მსოფლიოს უნივერსიადის ჩემპიონი (1971), სამგზის მსოფლიო რეკორდსმენი (1968 — 17,23 და 17,39 მ; 1972 — 17,44 მ). საუკეთესო პირადი შედეგი — 17,44 მ.

საქართველოს სამგზის წლის საუკეთესო სპორტსმენი (1968, 72, 76). საქართველოს XX საუკუნის საუკეთესო სპორტსმენი (ოქროს პრიზი). სსრკ სპორტის დამსახურებული ოსტატი. სოკ-ის, ღირსების, ვახტანგ გორგასლის I და II ხარისხის ორდენების კავალერი. 1992 წლიდან ცხოვრობს ავსტრალიაში და არის ამ ქვეყნის მოქალაქე. სიდნეის ოლიმპიადაზე (2000) იყო საქართველოს ოლიმპიური ატაშე.

**საკუთარი ინფორმაცია**



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

მეზობლებთან

# „მაშინ თორმეტი წლისა ვიყავი...“

**საოცარია ნიჭის ამბავი. სადღაც, ცაში, გადაწყვეტენ ღმერთები „იყავნ ნიჭიერიო“ და იბადებიან გენიოსები... თანაც ტალანტების გამოჩენა სულაც არ არის დამოკიდებული „გეოგრაფიაზე...“**

მათემატიკოსთა მეფედ სიცოცხლეშივე აღიარებული გაუსი 4 წლისა იყო, როცა მოიჯარადრეებთან მამამისის საუბარს მიაყურადა და „გატყუებენ ანგარიშშიო“, აცნობა. შეამოწმეს და ბალღი სწორი აღმოჩნდა... 19 წლისამ კი უძველესი ბერძნული პრობლემა გადაწყვიტა — მხოლოდ ფარგლისა და სახაზავის საშუალებით წრეწირში წესიერი 17-კუთხედის ჩახაზვისა... მოცარტმა 4 წლისამ შეთხზა მუსიკალური ანბანი, რომელიც ქრესტომათიული გახდა და, მგონი, ახლაც ყველაზე ადრე ისწავლება სამუსიკო სკოლებში. 12 წლისამ კი პირველი ოპერა დაწერა...

სამარსკების ოჯახი მოსკოვის ახლოს ცხოვრობს, პატარა დაბაში. ერთ მშვენიერ დღეს სახლში ტელეფონის ზარი გაისმა, გამომცემლობიდან რეკავდნენ: მიშა სამარსკის წიგნის გამოქვეყნება გვინდაო. 12 წლის ბიჭუნას თურმე მოთხრობა დაუწერია „საქანელაზე, ბორცვებს შუა“ და მშობლების „ჩუმად“ ელექტრონული ფოსტით გაუგზავნია რამდენიმე გამომცემლობაში; რატომ არ უთხრა? იმიტომ, რომ თითქმის 100 პროცენტით იყო დარწმუნებული — ჩემისთანა ლაწირაკის ლიტერატურულ ცდებს კითხვას ვინ დაუწყებსო... არადა, გაგზავნიდან მესამე დღეს დაურეკეს. წიგნი იმავე წელს გამოვიდა, რამდენიმე კვირაში. „უყურე ამ მამაძაღლსო“, — უთქვამს ცოლისთვის მიშას მამას...

წლეულს, აგვისტოში, მიხეილ სამარსკის 16 წელი შეუსრულდა და უკვე 4 წიგნის ავტორია, ყველა გამოცემულია. ჰუმანიტარული საგნების პედაგოგი მშობლები ადრიდანვე უნერგავდნენ ვაჟიშვილს რუსული კლასიკისადმი სიყვარულს. ერთხელ, როცა მიშა მე-4 კლასში იყო, ლიტერატურის გაკვეთილზე მასწავლებელ ქალს უთქვამს, თითქოს ჩეხოვი იალტაშია დაკრძალული. ბიჭი შეპასუხებია. — აბა სადაო? — უკითხავს მასწავლებელს. — ნოვოდევიჩის სასაფლაოზე, მოსკოვშიო. — შენ საიდან იციო. — მშობლებთან ერთად ვარ ხოლმე იქაო. — რას აკეთებთო? — ჩეხოვის დაბადების დღეს ყვავილები მიგვაქვს ხოლმეო... „თუმცა დღეს აღარ ჩავაყენებდი მასწავლებელს უხერხულ მდგომარეობაში მთელი კლასის წინაშე. ეგებ დაავიწყდა ან სულაც წასცდაო“, — ამბობს მიხეილი.



„დღეს“ ის მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებულ ექსტერნატში სწავლობს, რომ ორ წელიწადში დაძლიოს X და XI კლასების პროგრამები. ყოველდღე ცდილობს 100-დან 200 გვერდამდე მხატვრული ტექსტის გადაკითხვას; პროზის წერა თუ გინდა, ბევრი უნდა იკითხოო, ამბობს.

მწერლად კი თავს ჯერ არ მიიჩნევს. „მე ვინა ვარ? — მოსწავლე. შეიძლება, მომავალი პროზაიკოსი“. თუმცა მიშა სამარსკის შემოქმედებას მხცოვანი პროფესორები არჩევენ და გაკვირვებულნი არიან, რომ თანამედროვე მოწაფეს უნარი შესწევს ისეთი სიტყვების ხმარებისა, როგორიცაა ежели, огрехи, трапеза, всклакнул და სხვა; რომ 12 წლის ასაკში უყვარდა უშაკოვის ლექსიკონში ჩახედვა; რომ სადებიუტო წიგნის სათაური „საქანელაზე, ბორცვებს შუა“ ბროდსკის ლექსმა მოჰგვარა: „ბორცვენი თავზე დაგვცქერიან, მუდამ ვხედავთ მათ მწვერვალებს, გინდ კუნაპეტ ღამეში და გინდა ძილში, დღესაც, ხვალეც“...

ამასთან, მიხეილი გულახდილად წერს, რომ გულს ურევენ ამჟამინდელი მოდური უცხოპლანეტელები თუ ვამპირები (ქართული ტელეეკრანიდანაც ნაცნობი სიტუაცია! — **თ.ე.**). ესეც ბევრს უკვირს. მშობლები, რომელთა წყალობითაც განიმსჭვალა ახმატოვათი, ბროდსკით, ცვეტაევათი, თვალყურს ადევნებენ, რომ ყმაწვილი არ გამედიდურდეს; თუმცა, როგორც მამა აღიარებს, ჯერჯერობით, თფუ, თფუ, თფუ, ყველაფერი რიგზეა“ და უმატებს, რომ შვილის პირველმა წიგნმა მიატოვებინა წევა: „მიშკამ ხომ სწორად შენიშნა, რომ დიდები ბავშვებს უამრავ კარგ რჩევას აძლევენ — ისწავლე, ივარჯიშე, არ დალიო, არ მოწიო, თვითონ კი... ახლა კიდევ ვფიქრობ, საღამოობით ლუდის წრუპვას შევეშვა. დავპირდი ბიჭს ამ საკითხზე წამუშავებას...“

მოამზადა
**თამაზ ებანოიძემ**

# 20 შტატს აშშ-სგან დამოუკიდებლობა სურს!

**100 ათასზე მეტმა ამერიკელმა ხელი მოაწერა პეტიციას, რომელიც მათი შტატების აშშ-ს შემადგენლობიდან გასვლას ითხოვს.**

**პეტიციას ხელი 20 შტატის მცხოვრებლებმა მოაწერეს. გავრცელებული ინფორმაციით, პეტიციის შესაბამისად, აშშ-სგან დამოუკიდებლობას შემდეგი შტატები ითხოვენ: ტეხასი, ნიუ-იორკი, ნიუ-ჯერსი, სამხრეთი და ჩრდილოეთი კალიფორნია, ალაბამა, ჯორჯია, ფლორიდა, ინდიანა, მიჩიგანი, ტენესი, ლუიზიანა, კენკუტი, არკანზასი, კოლორადო, სამხრეთი დაკოტა, არეგონა, მისისიპი, მისური და მონტანი.**

**აღნიშნული პეტიცია გამოქვეყნდა თეთრი სახლის ვებგვერდზე განყოფილებაში „ჩვენ ხალხი“, სადაც ნებისმიერ მსურველს საკუთარი აზრისა თუ მოთხოვნის დაფიქსირება შეუძლია.**

**ტენესის მოსახლეობა, საიდანაც პეტიციას ხელი 8 ათასმა კაცმა მოაწერა, ითხოვენ, რომ მათი შტატი აშშ-ის შემადგენლობიდან გავიდეს და დამოუკიდებელი მთავრობა ჰყავდეს. დამოუკიდებლობის ხმების მოთხოვნით ტეხასი ლიდერობს, სადაც დამოუკიდებლობის პეტიციას ხელი 25 ათასმა ადამიანმა მოაწერა. არსებული ნორმების მიხედვით, თეთრი სახლი ვალდებულია საზოგადოების მოთხოვნას ოფიციალური პასუხი გასცეს.**




პატივგება

# მეოთხე ოცდახუთწლეულის დასაწყისში

**თსუ-ის სააქტო დარბაზში გაიმართა თვალსაჩინო ქართველი მკვლევარ-მათემატიკოსის, უნივერსიტეტის საპატიო პროფესორის, ილია ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტის მათემატიკური მოდელირებისა და გამოთვლითი მეთოდების მიმართულების ხელმძღვანელის თამაზ ვაშაყმაძის დაბადებიდან 75 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო სხდომა.**

შეკრება შესავალი სიტყვით გახსნა და იუბილარს გულთბილად მიესალმა რექტორი ალექსანდრე კვიტაშვილი. ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანმა, პროფესორმა რამაზ ბოჭორიშვილმა დამსწრეთ ამცნო წიგნის „თამაზ ვაშაყმაძე-75“-ის გამოსვლის თაობაზე. კრებულის შინაარსი ეკრანზე პროეცირებით საკმაოდ ვრცლად გადაშალა თვით მედღეობემ (აქვე სათქმელად, მასში შეტანილია „საქართველოს რესპუბლიკის“ 15 სექტემბრის ნომრის სოლიდური პუბლიკაციაც თამაზ ვაშაყმაძეზე „ახალ ოცდახუთწლეულში შებიჯებისას“). პრეზენტაციისას ნათლად წარმოჩნდა ნიჭიერი ქართველი მკვლევარი, 160 შრომისა და 7 მონოგრაფიის ავტორი, მსოფლიოს მათემატიკოსთა წრეებში მიღებული და აღიარებული, მრავალ ქვეყანაში მაღალკვალიფიციური სპეციალისტის რანგში სხვადასხვა მისიით მიწვეული, ნაირფეროვანი ინტერესების კაცი, კარგი მეოჯახე, კოლეგა, ამხანაგი და მეგობარი...

თამაზ ვაშაყმაძის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე მოხსენებით გამოვიდა მათემატიკოსი და ჟურნალისტი თამაზ ებანოიძე. იუბილარს მიესალმნენ პროფესორები თენგიზ მეუნარგია, მორის ჯიბუტი, რაფიელ ჩიქოვანი, ილია ლომიძე.

ივანე ჯავახიშვილის საუნივერსიტეტო მედლის კავალერი, ილია ვეკუას სააკადემიო პრემიის ლაურეატი და სხვა არაერთი სამეცნიერო ჯილდოს მფლობელი, ემერიტუს-პროფესორი იუბილარი ცხოვრების მეოთხე ოცდახუთწლეულს ახალი ჩანაფიქრებით, ძიების წყურვილის დაუოკებლობით, ჯერაც დაუცხრომელი ენერგიულობით ხვდება.

**რამაზ გორგაძე**

მოგვმართავენ, გვეკითხებიან

რუბრიკას უძღვება გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ იურიდიული კონსულტანტი ირინე ღლონტი.

**კითხვა: გთხოვთ, განმიმარტოთ, რა არის დღეს მოქმედი კანონით სახელმწიფო პენსიის დანიშვნის ძირითადი საფუძველი? მინდა ვიცოდე, აუცილებელია თუ არა 20 წლის სტაჟი იმისთვის, რომ ორ თვეში, როცა საპენსიო ასაკი შემისრულდება, შემდეგ მინიმალური სარჩო მაინც გამაჩნდეს?**

**ლუიზა გიგაური**

**პასუხი:** ასაკით პენსიის დანიშვნის ძირითადი საფუძველია საპენსიო ასაკის მიღწევა. ასე, რომ 60 წლის შესრულების შემდეგ, თუ თქვენ ისეთი დაწესებულების თანამშრომელი არ იქნებით, რომელიც სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსდება, პენსია (სტაჟის ხანგრძლივობის მიუხედავად) თვეში 100 ლარის ოდენობით ყველა შემთხვევაში მოგეცემათ.

**კითხვა: ვარ 35 წლის, გარდამეცვალა მეუღლე, რომელიც მუშაობდა შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში. დამრჩა 3 მცირეწლოვანი შვილი. გთხოვთ, განმიმარტოთ, ვის მივმართო ბავშვებისთვის პენსიის დასანიშნად.**

**ლელა ჟანიშვილი**

**პასუხი:** შეკითხვაში აღნიშნული პირობების მიხედვით, მცირეწლოვანი შვილებისთვის მამის გარდაცვალების გამო კომპენსაციის (და არა პენსიის) დანიშვნის საკითხზე გირჩევთ მიმართოთ სოციალური მომსახურების სააგენტოს (ქ. თბილისი, აკაკი წერეთლის გამზირი №144).

**კითხვა: მყავს ბავშვობიდან ინვალიდი შვილი, რომელიც ამჟამად 15 წლისაა. მას ჩემს გარეშე არსებობა უჭირს. მაისის ბოლოს უწევს სამედიცინო კომისიაზე გასვლა. მეუბნებიან, თუ პირველი ან მეორე ჯგუფი არ დაუდგინეს, პენსია მოეხსნებაო. მართლა ასეა?**

**თეა ორმოცაძე**

**პასუხი:** არა, გულს ნუ გაიტეხთ, მთლად მასე არ არის, მაგრამ თქვენმა შვილმა დანიშნულ დროს აუცილებლად უნდა გაიაროს სამედიცინო შემოწმება. კანონის თანახმად, შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე ბავშვებს, რომლებიც საჭიროებენ სხვა პირის მუდმივ დახმარებას, „სახელმწიფო პენსიების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული პენსია მიეცემათ შესაბამის სამედიცინო დაწესებულებაში ხელახალი გადამოწმების დროს ასეთი დახმარების საჭიროების დადგენის შემთხვევაში.

**მოგვმართეთ, შეგვეკითხეთ: 299-62-77.**

განაწილება

# არის მცდელობა, რომ „მზის“ წილი პატარკაციშვილის ოჯახზე გადააფორმონ

**ადვოკატ დიმიტრი გაბუნიას განცხადებით, არის მცდელობა, რომ ტელეკომპანია „მზის“ წილი ბადრი პატარკაციშვილის ოჯახზე გადააფორმონ. როგორც „თბილისი მარიოტში“ გამართულ პრესკონფერენციაზე დიმიტრი გაბუნიამ განაცხადა, ბოლო პერიოდში გააქტიურდნენ ის ადამიანები, ვინც ტელეკომპანიის მფლობელებისთვის წართმევის უკან იდგნენ.**

როგორც გაბუნიამ განაცხადა, რამდენიმე დღის წინათ ლონდონში ბადრი პატარკაციშვილის ქვრივთან ინა გუდავაძესთან შეხვედრაზე ჩასულები იყვნენ გიგი უგულავა, ზურაბ ადეიშვილი და ირაკლი რუხაძე, რომელიც ადვოკატის განმარტებით, პატარკაციშვილის ოჯახის ქონების მმართველია.

როგორც გაბუნია აცხადებს, ამ შეხვედრის შესახებ ინფორმაცია მას ვანო ჩხარტიშვილმა მიაწოდა და აღნიშნა, რომ არის მცდელობა, რომ ბადრი პატარკაციშვილის ოჯახის სახელზე გადააფორმონ „მზის“ წილი.

ამასთან, დიმიტრი გაბუნიამ განაცხადა, რომ ირაკლი რუხაძე არის კახა ბენდუქიძის ახლო მეგობარი. „ახლა ეს „ტროიკა“ ცდილობს, ბადრი პატარკაციშვილის ოჯახი ჩხარტიშვილების წინააღმდეგ გამოიყენოს“, — განაცხადა ადვოკატმა. რაც შეეხება „იმედის“ პატარკაციშვილებისთვის დაბრუნებას, გაბუნიას თქმით, რამდენიმე თვის წინათ ლონდონში ინა გუდავაძესთან იმყოფებოდნენ გიგი უგულავა და იუსტიციის ყოფილი მინისტრის პირველი მოადგილე თინა ბურჯალიანი და „იმედის“ დაბრუნება დიდი გარიგების შედეგად შედგა.

როგორც დიმიტრი გაბუნიამ განაცხადა, მას აქვს ინფორმაცია, რომ პატარკაციშვილების ოჯახი დააშანტაჟეს. როგორც ადვოკატმა განაცხადა, თუ გუდავაძე არ მოაწერდა ხელს მათ შეთავაზებას, დაემუქრნენ, რომ იმ ფაქტებს გამოაქვეყნებდნენ, „რაც შეიძლებოდა პატარკაციშვილების ოჯახის ღირსების შემლახველი ყოფილიყო“. ამასთან, ადვოკატი გამოეხმაურა „რუსთავი-2“-ზე რამდენიმე დღის წინათ გასულ ვიდეორგოლს, სადაც საუბარია, თითქოს ვანო ჩხარტიშვილმა პატარკაციშვილის სიკვდილითისარგებლა და მისი ქონება მიითვისა.

პრესკონფერენციაზე დიმიტრი გაბუნიამ საჯარო რეესტრის ამონაწერი წარადგინა, სადაც, მისი თქმით, ნათლად ჩანს, რომ 2009 წელს ჩხარტიშვილმა მის საკუთრებაში არსებული 4 ჰექტარი მიწის ნაკვეთიდან 2 ჰექტარი ინა გუდავაძეს გადაუფორმა.

ადვოკატის განცხადებით, ეს ერთ-ერთი ნათელი მაგალითია იმისა, რომ „რუსთავი-2“-ზე გასული ვიდეორგოლი სიცრუეს შეიცავდა. „ამ ვიდეორგოლში საუბარი იყო, თითქოს ურეკში არსებული ნახევარი ჰექტარი მიწის ნაკვეთი პატარკაციშვილმა მიითვისა. ამასთან, ინა გუდავაძეს ჩვენ არაერთხელ შევთავაზეთ ჩხარტიშვილის სახელით, რომ მსოფლიოში ცნობილი ხუთი აუდიტორული კომპანია მოგვეწვია და ამ ხუთიდან ერთ-ერთი მაინც თუ იტყოდა, რომ ჩხარტიშვილს რაიმე აქვს გადასახდელი, გადაიხდიდა“, — განაცხადა გაბუნიამ.

მისი თქმით, 15 ნოემბერს ის ვანო ჩხარტიშვილის სახელით „რუსთავი-2“-ის წინააღმდეგ პატივისა და ღირსების შელახვისთვის სამოქალაქო სარჩელს შეიტანს.

**ინტერპრესნიუსი**



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

## ◉ პიროვნება

# „ერეტიკოსით“ სხვის გადასარჩენად გაწირული სიცოცხლე

**ის, რაც ფრანგმა ექიმმა ალენ ბომბარმა ზუსტად 60 წლის წინათ, 1952 წლის ოქტომბერში დაიწყო, პირველ ყოვლისა, მისი უსაზღვრო ალტრუიზმით იყო ნაკარნახევი. 19 ოქტომბერს იგი კანარის კუნძულების დედაქალაქის ლას-პალმასის ნავსადგურიდან გავიდა... რეზინის იალქნიანი ნავით — მისი მოგზაურობის მიზანი ატლანტიკური ოკეანის გადალახვა იყო, ამის მიზეზი კი გახლდათ, რომ მას სურდა შესაძლებლობისამებრ იმათთვის აუცილებელი რეკომენდაციების შემუშავება, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, შორიდან დახმარების აღმოჩენა, ვინც უბედურებაში მოყოლილი გემის ბორტს მიღმა, ღია ზღვაში აღმოჩნდებოდა.**




„საჭირო იყო ამ უბედური ადამიანებისთვის იმედის ჩასახვა, — წერდა იგი თავის წიგნში „ბორტს მიღმა საკუთარი ნებით“. — მარტო ამას შეეძლო ყოველწლიურად ათასობით სიცოცხლის გადარჩენა... ეს ღირდა ერთი სიცოცხლის რისკად“. და მან გარისკა კიდეც საკუთარი სიცოცხლით.

ის, რომ ალენ ბომბარს ეს მოგზაურობა სპორტული დიდების მოსაპოვებლად არ წამოუწყია, ცხადია თუნდაც იმიტომ, რომ ატლანტიკა მარტოკას მანამდეც გადაუცურავს არაერთ გაბედულ კაცს. თავის მოგზაურობაში იგი იმ გამოცდილების შეძენას იმედოვნებდა, რომელიც მასაც და სხვებსაც ღია ოკეანეში უწყლოდ და უსურსათოდ დარჩენილებს სიცოცხლის გადარჩენაში დაეხმარებოდა.

საკუთარი თავისა და სხვების გადარჩენა — აი, ეს გახდა მთელი მისი ცხოვრების არსი.

მრავალი ცდის შემდეგ მან ნალისებრი ფორმის გასაბერი რეზინის ნავი შეარჩია, რომლიდან ჩასული წყალი თავისით ისევ ოკეანეში ბრუნდებოდა და მას „ერეტიკოსი“ დაარქვა, რაც, მისი აზრით, „გამომწვევს“ ნიშნავდა.

იგი კოლუმბის გზას გაყვა, თუმცა **მისგან განსხვავებით თან არაფერი წაუღია: სიცოცხლისთვის ყველაფერი აუცილებელი — წყალი, საკვები — მას ოკეანეში უნდა ეშოვნა! თუმცა „არაფერიო“, წეღან რომ ვთქვით, მთლად მართალი არ არის: ყველაზე მთავარი ნივთი... წვენის საწური იყო, რომლითაც თევზებიდან მტკნარი წვენის გამოწურვას გეგმავდა. გარდა ამისა, მას თან ჰქონდა ხარისხიანი ფოლადისპირიანი დასაკეცი დანა, ძუა და რამდენიმე სათევზაო კაუჭი — ყველაფერ ამას ახლა აბსოლუტურად ყველა გემის სამაშველო ნავის კომპლექტში დებენ! ჩამოთვლილი ნივთების გარდა, ალენ ბომბარს ასევე ჰქონდა პატარა გადამცემიანი რადიომიმღები, რათა უკიდურესი გაჭირვების ჟამს შველის თხოვნის ნიშანი გადაეცა. და კიდევ ერთი, ალბათ, ყველაზე გასაოცარი: მან თან წაიღო რაბლეს, მოლიერის, სერვანტესის, ნიცშეს, ესქილეს, მონტენისა და სპინოზას რამდენიმე წიგნი!**

„ერეტიკოსზე“ იყო ასევე „ხელშეუხებელი მარაგი“: თევზის და ხორცის კონსერვი, ასევე ქილებში დალუქული შოკოლადი და შაქარი, თუმცა ეს მარაგი დოქტორ ბომბარს არც გაუხსნია ისევე, როგორც უკიდურესი შემთხვევისთვის მომარაგებული კოლოფი მომაკვდინებელი შხამით...

იმ მოგზაურობაში ალენ ბომბარმა ყველაფერი გამოსცადა: **უსასტიკესი ქარიშხლები და მკვდარი შტილები, მაგრამ ყველაზე მეტად მას უწყლობა და მარტოობა ტანჯავდა.** იგი მფრინავი თევზების წვენს სვამდა ისევე, როგორც სვამდა ოკეანის წყალს, რომლისგან პლანქტონს წურავდა და ასევე საკვებად იყენებდა. **მისი მიზანიც სწორედ იმის დამტკიცება იყო, რომ გარკვეული ოდენობით ზღვის წყლის სმაც შეიძლება, ოღონდ დიდი სიფრთხილით, წინააღმდეგ შემთხვევაში თირკმელების დაავადება და გარდუვალი სიკვდილი იყო.** მაგრამ ბომბარი ყველაფერს ზუსტად გათვლის — დროსაც და წყლის ულუფასაც, თუმცა ეს მერე იქნება.

მას რამდენჯერმე ვეშაპები და ზვიგენები ესტუმრნენ, მაგრამ ერთი ზვიგენის გარდა, თავს არ დასხმიან, თუმცა ბომბარმა ის ნიჩაბზე მიბმული დანით მოკლა. ერთი გასაოცარი შეხვედრის შესახებ მან დღიურში ჩაწერა: **„დღეს უკან 2-3 მეტრის სიგრძისა და დაახლოებით 20 სანტიმეტრის სიგანის მწვანე „ძეხვი“ მომყვებოდა. ეს წყალმცენარეები არ იყო, რადგან მათ შეკუმშვის და კლაკნის უნარი არა აქვთ...“** რა იყო ეს — მეცნიერებისთვის უცნობი ცხოველი? ზღვის გველი? კაცმა არ იცის...

ერთხელ კი, როცა ქარმა გასაბერი ბალიში წყალში გადააგდო, იგი დაუფიქრებლად გადახტა მის ამოსაღებად, ხოლო მერე უკან რომ მობრუნდა, სასოწარკვეთით დაინახა, რომ „ერეტიკოსი“ წარმოუდგენელი სისწრაფით შორდებოდა და მისი დაწევა შეუძლებელი იყო. მაშინ პირველი, რაც გაახსენდა, კოლოფი შხამით იყო, მაგრამ მოულოდნელად ქარი ჩადგა და ნავმაც სვლას უკლო...

კუნძულ ბარბადოსზე ჩასულმა ალენ ბომბარმა, რომელმაც ტრანსატლანტიკურ მოგზაურობაში დაბადების 28-ე დღე აღნიშნა, სამეცნიერო ნაშრომის წერა დაიწყო. **მან საზღვაო კატასტროფაში მოყოლილთათვის მკაფიო რეკომენდაციები ჩამოაყალიბა, რომლებსაც დღესდღეობით მსოფლიოს ყველა სანაოსნოს ყველა გემი განუხრელად ასრულებს, მაგრამ მთავარი ისაა, რომ მან ხალხს იმედი აჩუქა.**

„გემის დაღუპვის შემდეგ ღია ზღვაში დარჩენილს შეუძლია და უნდა შეინარჩუნოს კიდეც იმედი. ასეთი კაცი მოულოდნელად დილემის წინაშე აღმოჩნდება — იცოცხლოს ან მოკვდეს — რა დროსაც მან მთელი ძალ-ღონე, მთელი ვაჟკაცობა უნდა მოიკრიბოს, რათა სასოწარკვეთას შეებრძოლოს“.

პასუხად ექიმმა ათი ათასზე მეტი წერილი მიიღო, რომლებშიც სხვადასხვა სიტყვებით ერთი აზრი იყო გადმოცემული: **„რომ არა თქვენი მაგალითი, ჩვენ დავიღუპებოდით!“**

**ნინო ალექსანდრია**

## ◉ ჩვენი პრესდაიჯესტი

## გუშინდელი გაზეთებიდან



### თბილისის საბავშვო ბაღებიდან 140 დაწამლული ბავშვი ინფექციურში სისხლდენით მიიყვანეს!

ამ დღეებში მოწამულ ბავშვთა რიცხვი უკვე 300-მდე ავიდა და თუ გავითვალისწინებთ, რომ ბავშვების შედინება არ დასრულებულა, სადამდე ავა ეს ციფრი, არავინ იცის.

თითქმის ყველა ბავშვი 6 წლამდეა და ისინი საბავშვო ბაღების კონტინგენტი გახლავთ. ისინი ხილიანზე მდებარე ინფექციურ საავადმყოფოში თბილისის თერთმეტი ბაღიდან მიიყვანეს. დიაგნოზია კოლის მიკრობი და დიზენტერია. ბავშვებს ერთ კვირას მაინც მოუწევთ მკურნალობა.

**„ალია“**

### „მივმართავ თეა წულუკიანს, დაინტერესდეს მოსამართლეთა საქმიანობით!“

— აცხადებს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე ზაზა ხატიაშვილი, — საქართველოში სააკაშვილის რეჟიმმა ჩანასახში მოსპო სასამართლო სისტემა, რომელიც წარმოადგენდა რეჟიმის მთავარ დასაყრდენს. როგორც ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე, ვეცნობოდი რა სასამართლოს მხრიდან ჩადენილ უკანონობებს, მივედი იმ აზრამდე, თუ მთელი მოსამართლეთა კორპუსი არ შეიცვალა, საქართველოს სასამართლო სისტემა ვერასოდეს შეასრულებს სამართლიანი სასამართლოს როლს.

**„ახალი თაობა“**

### თითო დასაქმებულს სახელმწიფო 360 ლარს დაუბრუნებს

ერთი წლის შემდეგ დაახლოებით 300-350 ათას დასაქმებულს მაქსიმუმ 380 ლარი, საშემოსავლო გადასახადის სახით დაუბრუნდება. 2013 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში დაუბეგრავი მინიმუმის ცნება გაჩნდება. ექსპერტები ამ გადაწყვეტილებას დადებითად აფასებენ, თუმცა, მათი აზრით, ჯობდა საშემოსავლო გადასახადი 15 პროცენტამდე შემცირებულიყო.

დაუბეგრავი მინიმუმის რეჟიმში მოექცევიან ის ადამიანები, რომელთა წლიური ხელფასი 6 ათას ლარს არ აჭარბებს.

**„რეზონანსი“**

## მილოცვა

**ღირსეულ მეოჯახესა და ქართული ტრადიციების გამტარებელს, მეგობრებსა და ახლობლებზე უზომოდ შეყვარებულ ქალბატონს ნინო შავშიშვილს ვულოცავთ დაბადების დღეს და ვუსურვებთ ჯანმრთელობასა და ბედნიერებას საყვარელ ოჯახთან ერთად.**

ვაჟა-ფშაველას №45,24-ე კორპუსის მობინადრენი

## ◉ კადრი



## ◉ ანეკდოტები

— **რამდენი** მმართებს? — ეკითხება ტიპი ხარაზს.

— აბა, რა ვიცი? ჩემი სამუშაოსთვის ათი ლარი უნდა გადამიხადოთ, დანარჩენი კი მე არ მეხება.

* * *

**ცოლის** დაბადების დღისთვის საჩუქრის შერჩევა უფრო ძნელია, ვიდრე თვით ცოლისა.

* * *

**წვანან** კაცები პალატაში, უსმენენ პროგრამას „გადაეცი სალამი“:



— გამარჯობათ, მინდა მივესალმო ჩემს ქმარს, რომელიც ამჟამად ქირურგიულ განყოფილებაში წევს.

— ბიჭებო, ეს ჩემი ცოლის ხმაა! — წამოიყვირებს თავშეხვეული კაცი.

— მაინც რა გინდათ, რომ გადასცეთ? — ეკითხება პროგრამის წამყვანი.

— რა და, თუ ერთხელ კიდევ წავასწარი პირად მდივან ქალთან, თავში უკვე ტაფას კი არა, სკამს ჩავარტყამ!

— ერიჰა, — ირონიულად გადახედეს კაცებმა თავშეხვეულს, — შენ კიდევ, ფეხი დამიცდაო, კედელს შევენარცხეო...

* * *

**არაფერია** ქვეყანაზე უფრო შხამიანი, ვიდრე ქალთა მეგობრული კოლექტივი.

* * *

**როგორც** ჩანს, ამერიკა იქნება პირველი ქვეყანა, სადაც სექსს აკრძალავენ იმპოტენტთა უფლებების შელახვის მოტივით.

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“
(რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
ზურაბ ბოზიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძოზულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com